კვირეული ბიულეტენი „ვერსია“ ეროვნული

# ვერსია

№9 (1551) 31 მარტი — 6 აპრილი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## სადედამთილომ შვილის შეყვარებულის მოწამვლა და გაუპატიურება დაგეგმა

## ძალიან მწარე რეალობა

კორონაპანდემიის გამო, ქართული ტურიზმი 2.8 მილიარდი დოლარით დაზარალდა

# „31 მარტი საქართველოს ხელახალი პოლიტიკური და ზვიად გამსახურდიას ფიზიკური დაბადების თარიღია!“







## ზვიად გამსახურდიას წინასწარმეტყველური იგავი

## „ერთ მნიშვნელოვან რამეს გეტყვით“

რას ჰყვებოდა დაპატიმრებამდე რუსუდან კერვალიშვილი

## სისხლიანი გარჩევა სასამართლოში

ადვოკატმა მკვლელი, რომელმაც შვილი მოუკლა, დანით დაჭრა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

## შს მინისტრი იაპონიის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა საქართველოში იაპონიის ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, აკირა იმამურასთან.

ვახტანგ გომელაურმა ელჩს სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ მისი ხელშეწყობით, მხარეთა შორის არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

მინისტრმა იაპონიის მხარეს სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა სამინისტროს თანამშრომლობას საქართველოში იაპონიის საელჩოსთან – ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, რომლის ერთ-ერთ ბენეფიციარს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. მინისტრმა აღნიშნა, რომ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (JICA) აქტიური თანამშრომლობით, მუდმივ რეჟიმში ხდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლების გადამზადება კატასტროფების რისკების შემცირების მიმართულებით.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტული მიმართულებები დასახეს.

## ხაშურში უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, ხაშურში, 1986 წელს დაბადებული ჩ.ო. დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ხაშური-სურამის შემოვლითი გზის ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს. ავტომანქანის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, სხვადასხვა კალიბრის 745 საბრძოლო ვაზნა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის სათადარიგო ნაწილები.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური ირანის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, აქბარ ყასემი ალიაბადთან.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ელჩს საქართველოში დიპლომატიური მისიის დაწყება მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში, ორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და არსებული ურთიერთობების სამომავლო გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება




მიმდინარე წლის 23 მარტს, აფრიკის დასახლებაში, სავარაუდო თვითმკვლელობის ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით.

გამოძიების დაწყებიდან მალევე, სამართალდამცველებმა გარდაცვლილის ვინაობა დაადგინეს. გარდაცვლილი აღმოჩნდა 2006 წელს დაბადებული არასრულწლოვანი, ს.ც. გამომდინარე აქედან, გამოძიებაში სპეციალიზებული გამომძიებლები ჩაერთნენ და გამოძიება თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარმა სამმართველომ განაგრძო. გამოძიებას მონიტორინგს უწევს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი.

ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ამოღებულია გარდაცვლილი არასრულწლოვნის ტანსაცმელი, კერძოდ, შემთხვევის ადგილიდან – მისი ფეხსაცმელები, ხოლო მიმდებარე კორპუსის სახურავიდან – არასრულწლოვნის კუთვნილი ჩანთა. ასევე, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია გამოძიებისთვის საინტერესო ინფორმაციის მატარებელი ნივთები. გამოიკითხა ოცამდე მოწმე, მათ შორის, გარდაცვლილი არასრულწლოვნის ოჯახის წევრები, თანატოლები და საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირები. არასრულწლოვანთა გამოკითხვების პროცესში ჩართული არიან სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები და ფსიქოლოგები. დანიშნულია ყველა შესაბამისი ექსპერტიზა.

გარდაცვალების გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით, გრძელდება საგამოძიებო, ოპერატიული და საპროცესო ღონისძიებები.

## პოლიციამ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და გამოძალვის ფაქტებზე, ქვემო ქართლში ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოსა და რუსთავის რაიონული პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ორი პირი დააკავეს.

1968 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ხ.პ.-სა და 1972 წელს დაბადებულ ე.ა.-ს, „ქურდული სამყაროს“ წევრობა და გამოძალვა ედებათ ბრალად. დანაშაულები 4-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ხ.პ. და ე.ა., „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ. ბრალდებული ხ.პ. სხვადასხვა პირის დაშინების გზით ცდილობდა პირადი და „ქურდული სამყაროსათვის“ მატერიალური სარგებლის მიღებას. იგი საზღვარგარეთ მცხოვრები ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტის დავალებით, თავისი ნდობით აღჭურვილი პირის, მეორე ბრალდებულის – ე.ა.-ს შუამავლობით, სისტემატურად უკავშირდებოდა თანასოფლელს და ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობის, ასევე, ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით, „ქურდული სამყაროს“ სასარგებლოდ თანხას სძალავდა.

პოლიციამ ორივე ბრალდებული მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დააკავა.

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და გამოძალვის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლით და 181-ე მუხლით მიმდინარეობს.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ო.რ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ო.რ., თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მონაკვეთზე იმ დროს დააკავეს, როცა მას საკუთარი ავტომანქანით უკანონო იარაღი გადაჰქონდა. პოლიციამ, ბრალდებულის ავტომანქანის ჩხრეკისას, 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 3 მჭიდი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 1000-მდე საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ქვეყნისთვის კარგი იქნება, თუ „ოცნებასაც“ და „ნაცმოძრაობასაც“ პოლიტიკის მიღმა გავისტუმრებთ!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

## რა შეცდომას უშვებს ოპოზიცია და რატომ არ მიდის ხელისუფლება დათმობაზე

**ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის პირადი წარმომადგენლის, კრისტიან დანიელსონის მედიაციით, მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკება პიკს უახლოვდება. ყოველ შემთხვევაში, ევროპიდან საგანგებოდ მოვლენილმა დიპლომატმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების მაგიდაზე დადებს კონკრეტულ ტექსტს და მხარეებს მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება. მართალია, საზოგადოებისთვის მოლაპარაკების დეტალები გასაიდუმლოებულია, მაგრამ ცნობილია, რომ მოლაპარაკების ძირითადი საკითხები კვლავ ვადამდელი არჩევნები, პოლიტპატიმრების გათავისუფლება და ოპოზიციის პარლამენტში შესვლაა. რა დათმობაზე წავლენ მხარეები და შეძლებს თუ არა მწვავე კრიზისში მყოფი ქართული პოლიტიკური ელიტა, ამჯერად მაინც, შეთანხმებას? – „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:**

– თუ ოდესმე, დანიელსონის მიერ მაგიდაზე დადებული ტექსტი გასაჯაროვდება, ვფიქრობ, ძირითადი თემა პატიმრების გათავისუფლება და ის იქნება, რომ ოპოზიცია შედის პარლამენტში ანუ რიგგარეშე არჩევნების თემა ამოვარდება.

**– კი, მაგრამ ეს ხომ ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა და წითელი ხაზია?**

– დიახ, ასეა, მაგრამ ზოგადად, არსებული ვითარებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ ოპოზიციის გარდა, ამ არჩევნებს ყველა, მათ შორის, ევროკავშირი და ეუთო-ოდირიც აღიარებს, ამასთან, თუ დავწურავთ, რაც სენატში ითქვა, ისაა, რომ პარლამენტში ცარიელი სკამები და ქვეყანაში პოლიტპატიმრები არ უნდა იყოს, ეს ასხამს რუსეთის წისქვილზე წყალს. ყველაფერ აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ ეს იქნება შეთავაზებული.

**– როგორ ფიქრობთ, შეიძლება, შეთავაზებული იყოს პლებისციტი და „ოცნება“ ამ დათმობაზე წავიდეს?**

– არ ვიცი, თქვენ როგორ აფასებთ, მაგრამ ახლა ხომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიდის. დანარჩენი ყველაფერი – რომ ვინგრევით, ქვეყნის ინტერესები და ა.შ. – ანტურაჟია. თუ ხართ „ქართული ოცნება“ და ჩათვლით, რომ მიდის ძალაუფლებისთვის ბრძოლა, წახვალთ დათმობაზე? რატომ წავა დათმობაზე, თუნდაც პლებისციტზე? სად აქვს პრობლემა „ქართულ ოცნებას“? დიდი აქციები არ იქნება, გამორიცხულია.

**– 15 მაისს გეგმავს ოპოზიცია მასშტაბურ აქციას, ბატონო ვახტანგ.**

– გინდა, 15 მაისს გამართონ, ან გადაიტანონ 15 სექტემბრამდე, ქვეყანაში არ არის ამის მზაობა. ქვეყანაში სად არის ისეთი განწყობა, როგორიც იყო 2012 წელს? ეს ხალხი მარსიდან ხომ არ ჩამოვა? ეს „ქართულმა ოცნებამაც“ იცის. შეიძლება, ქვეყნისთვის ცუდად მუშაობენ, მაგრამ თავისთვის – არა. ქვეყანაში არაა ისეთი პრობლემები, რომ ამან კრიზისი გამოიწვიოს და ქვეყანა გაჩერდეს. მთელი დასავლეთი აღიარებს, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. სენატში ითქვა, რომ ლეგიტიმურობის ზღვარზე იყო, ზღვარზე და არა – გადალახული. ქვეყნის შიგნით დიდი გამოსვლები არ იქნება, ქვეყნის გარეთაც პრობლემები არ აქვს ამ მხრივ და აბა, რატომ წავა „ოცნება“ დათმობაზე? მე რომ ვიყო, რა თქმა უნდა, წავიდოდი ამაზე იმიტომ, რომ რაზეც ვისაუბრე, თეორიული გათვლაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობენ ძალები ქვეყანაში, ასევე, ქვეყნის გარეთ და ეს ხიფათი იზრდება, ამის გამო წავიდოდი პლებისციტზე, მაგრამ „ქართული ოცნება“ ამაზე არ წავა.

**– ასეა თუ ისე, ოპოზიცია ერთიანობას ინარჩუნებს...**

– ალბათ, არ შევა ოპოზიცია პარლამენტში, მაგრამ ოპოზიციურ პარტიებს ერთნაირი ვითარება არ აქვთ. ნაციონალური მოძრაობა მშვენივრადაა ბოიკოტის რეჟიმშიც, ადგილობრივ არჩევნებშიც მიიღებენ მონაწილეობას არსებული ცესკო-ს პირობებში იმიტომ, რომ ეს სხვა არჩევნებია, იგივე ცესკო რომ ატარებს, ეგ არაფერი... ასეთი რამ, ამ 30 წლის განმავლობაში, არაერთხელ გვინახავს.

მოკლედ, მიიღებენ მონაწილეობას და „მეორე ეშელონს“ ანუ მუნიციპალურ დონეზე არსებულ პარტიულ ჯგუფებს, მეტ-ნაკლებად, გამოუძებნიან საკრებულოებში ადგილს. აი, დანარჩენი ოპოზიცია რა დღეში იქნება? ის ვერც საკრებულოში გავა, პარლამენტზეც უარს იტყვის და საერთოდ, დროა, თქვან, აღარ ვართ პოლიტიკაშიო. ამ პოლიტიკურ პარტიებს რეიტინგი და წონა აღარ ექნებათ იმიტომ, რომ ამომრჩეველში ყალიბდება ძალიან მარტივი რამ – ჩვენ რომ ყოველდღე ვაკვირდებით ვითარებას, მოსახლეობა ხომ ასე არაა? მოსახლეობა დღეს აღიქვამს, რომ არსებობს ორი ძალა და როცა დადგება საკითხი, მთელი ეს წვრილი პარტიები დარჩებიან თამაშგარე მდგომარეობაში. ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს, ეს პარტიები იმდენსაც ვერ აიღებენ, რაც აიღეს. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ 2024 წელს, 5%-იანი ბარიერი იქნება. ასე რომ, მათი არჩევანია, მაგრამ აქედან სარგებელი, ვფიქრობ, არაფერი ექნებათ.

**– ანუ, ნაციონალური მოძრაობის გარდა, სხვა ოპოზიციური პარტიები პარლამენტში უნდა შევიდნენ, რათა ამომრჩევლები შეინარჩუნონ?**

– გარკვეულწილად, შეინარჩუნებენ ამომრჩევლებს, მოიპოვებენ ევროპის ნდობას... ამ პარტიებმა უნდა გააკეთონ ბლოკი ადგილობრივი არჩევნებისთვის და დაფიქსირდნენ, როგორც ცალკე მდგომი ძალა, მაგრამ ეს ბლოკი უნდა იყოს გათვლილი იმაზე, რომ ერთად იქნებიან 2024 წლის არჩევნებშიც. ასეთ შემთხვევაში, ისინი მიიღებენ მხარდაჭერას დასავლეთისგან და არა მარტო იდეურს, ასევე, მათ ექნებათ შანსი, გადალახონ 5%-იანი ბარიერი. თუ ამას მიხვდებიან და გააკეთებენ, ხომ კარგი, თუ არადა, დარჩებიან საერთოდ მშრალზე.

**– ბატონო ვახტანგ, განწყობა როგორი გაქვთ, საქართველოს პოლიტიკური ელიტა შეთანხმებას მიაღწევს?**

– დიდი ალბათობით, შეთანხმება ვერ შედგება. შეიძლება, ეს პირადად დანიელსონის ბოლო ვიზიტი იყოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ევროპას, ცოტა ხანში, დაემატება აშშ და ჩაერთვება მედიაციის პროცესში. შემდეგ რა და როგორ იქნება, ვნახავთ. ოპოზიციას ან მართლა მოუწევს, კადრს მიღმა დარჩეს, ან ჩაერთოს... გულწრფელად რომ გითხრათ, ოპოზიცია არაფერს აგებდა, ძალაუფლების მომენტალურად ქუჩიდან აღება კი არ ეცადა, არამედ, რბილი გადასვლა ეწარმოებინა. მეორე ტურში, შემდეგ კი ადგილობრივ არჩევნებში მიეღო მონაწილეობა და ყოფილიყო მუდმივი მოთხოვნა და მზაობა, რომ არჩევნები გაყალბდა. ამ შემთხვევაში, ადგილობრივ არჩევნებში ძალიან დიდი მხარდაჭერა ექნებოდა დასავლეთისგან, რომ შესულიყვნენ პარლამენტში და არჩევნების გაყალბების თემა ექციათ არა ძალაუფლების მოპოვების ბერკეტად, არამედ, თემატურ სვლად და მუდმივად ამაზე ყოფილიყო ლაპარაკი. ამით მიაღწევდნენ ბარიერის 3%-მდე დაწევას და საარჩევნო სისტემასაც კარგად გაასუფთავებდნენ. თუ ამას მოჰყვებოდა სასამართლოსა და ძალოვანი სტრუქტურების რეფორმაც, ხომ კარგი იქნებოდა და როგორც კი მიიღებდნენ უპირატესობას ადგილობრივ არჩევნებში, გაცილებით მეტი ბერკეტი ექნებოდათ, თუნდაც მომავალი წლისთვის, ვადამდელ არჩევნებზე წამოეყვანათ ხელისუფლება. ამასთან, ვიმეორებ, მხარდაჭერა ექნებოდათ დასავლეთისგან. ასეთ რამეს რომ არ თვლი ან არ გინდა გათვალო, ან არ გესმის პოლიტიკა, ან საეჭვო რაღაც ხდება... ლოგიკას ვერ ვხედავ. პირადად ჩემთვის სულ ერთია, ნაციონალური მოძრაობა მობრუნდება, თუ „ქართული ოცნება“ დარჩება. ქვეყნისთვის ყველაზე კარგი იქნება, თუ ორივეს გავისტუმრებთ პოლიტიკის მიღმა, მაგრამ ის ხალხიც რომ არ ჩანს, ვისაც უნდა პოლიტიკაში? – სამწუხაროდ, ასეთი ვითარებაა.

# „ერთ მნიშვნელოვან რამეს გეტყვით“ – რას ჰყვებოდა დაპატიმრებამდე რუსუდან კერვალიშვილი

ნინო დოლიძე

## რა ურჩია გიგი უგულავამ და ვინ აფინანსებდა „ცენტრ პოინტის“ წინააღმდეგ აქციებს – ის, რაც დღემდე საჯაროდ არ თქმულა

**30 მარტს, ოთხწლიანი პატიმრობის შემდეგ, „ცენტრ-პოინტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და პარლამენტის ყოფილმა ვიცე-სპიკერმა, რუსუდან კერვალიშვილმა საპატიმრო დატოვა. ცნობისთვის: რუსუდან კერვალიშვილი ციხეში, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის ეპიზოდის გამო მოხვდა ანუ დები – რუსუდან კერვალიშვილი და მაია რჩეულიშვილი, თავის დროზე, სასამართლომ თაღლითობისა და მენაშენეთა კუთვნილი თანხების მითვისებაში დამნაშავედ სცნო და 4-4 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ამასთან, სხვა ეპიზოდზე, მაია რჩეულიშვილს 7 წელი აქვს მისჯილი. სხვათა შორის, ამავე საქმეზე დაპატიმრებული იყო მაია რჩეულიშვილის ვაჟი, გუკა რჩეულიშვილიც. აქვე, იმასაც შეგახსენებთ, რომ რუსუდან კერვალიშვილისა და მაია რჩეულიშვილის პატიმრობის დროს, გარდაიცვალა მაიას მეუღლე, პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი, ვახტანგ რჩეულიშვილი...**

**„ვერსიის“ არქივში ინახება რუსუდან კერვალიშვილის ვრცელი ინტერვიუ, რომელიც მის დაპატიმრებამდე, ცოტა ხნით ადრე ჩაიწერა. ინტერვიუში რუსუდან კერვალიშვილი გამოთქვამდა ეჭვს, რომ „ცენტრ-პოინტის“ საქმის კვალი, შესაძლოა, პოლიტიკამდე მისულიყო:**

**„ამ სიტყვას, როგორც წესი, არ ვიყენებ ხოლმე, მაგრამ ჩვენი დემონიზაცია, თავიდან ბოლომდე, ცხადია, „გაჩალიჩებულია“ და წლებია, ასე გრძელდება!.. მათ გვარებს არ დავასახელებ, რადგან თვითონ ყველაფერი ძალიან კარგად იციან, მაგრამ ამ ადამიანებმა არათუ მონაწილეობა მიიღეს, არამედ, ყველაფერი სტრატეგიულად დაგეგმეს, მათ შორის, მაიას წინააღმდეგ 190 გადაცემის მომზადება“.**

**სხვათა შორის, არსებობს ინფორმაცია, რომ თავის დროზე, „ცენტრ პოინტთან“ პარტნიორული ურთიერთობა ყოფილ მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილსაც ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის წინააღმდეგ გამოძიება ზუსტად იმ დროს დაიწყო, როცა ქვეყნის მთავარ საგამოძიებო უწყებას სათავეში კბილაშვილი ედგა. მართალია, არავინ ლაპარაკობს, მაგრამ ეს თავისთავად საინტერესო დეტალია.**

**რაც შეეხება „ცენტრ პოინტს“, როგორც ირკვევა, ამ კომპანიას პრობლემები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაეწყო. ეს ის დროა, როცა რუსუდან კერვალიშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით, პარლამენტის წევრი გახდა. ინტერვიუდან, რომელიც ზევით ვახსენეთ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კერვალიშვილი მაშინდელი მმართველი ელიტის ერთგვარი მძევალი იყო. არქივიდან მცირედი შემოკლებით გთავაზობთ რუსუდან კერვალიშვილის ინტერვიუს:**

– საერთოდ, ამ ამბის მთელი ტრაგიზმი ისაა, რომ რაკი პოლიტიკაში ხარ ჩართული, აგრესიაც საქმიდან კი არა, უფრო პოლიტიკიდან გამომდინარე მოდის! იმაზე მეტი პოლიტიკური აგრესია რაღა უნდა ყოფილიყო, როცა 1998 წელს, „ცენტრ პოინტმა“ მუშაობა რომ დაიწყო, ვახტანგი უკვე რამდენჯერმე იყო აფეთქებული, თუმცა ვცდილობდით, იმისთვის გვეშრომა, რომ სიკეთე გვეკეთებინა!

**– თუკი ხედავდით, რომ აგრესია იმთავითვე პოლიტიკაში ჩართულობის შედეგი იყო, რატომ არ ცდილობდით, რომ პოლიტიკისგან დისტანცია დაგეჭირათ?**

– გაგახსენებთ, ეს რა პერიოდია: ვახტანგს თავისი პარტია ჰქონდა, რომელშიც 60 ათასი ადამიანი იყო გაწევრიანებული. 1998-დან 2004 წლამდე, მისმა პარტიამ რამდენიმე არჩევნებში გაიმარჯვა, თავად ვახტანგი კი, წლების განმავლობაში, ვიცე-სპიკერი იყო და იმის საჭიროება, რომ არჩევანი გაეკეთებინა ანუ პოლიტიკას გამიჯვნოდა და მშენებლობაში ჩართულიყო, არ არსებობდა. მშენებლობაში მაია იყო, რომლის გვერდითაც მისი მეგობრები – ბრწყინვალე არქიტექტორები, დეველოპერები თუ ფინანსისტები იდგნენ. სხვათა შორის, აქედან რამდენიმე, დღეს ქვეყნის ხელმძღვანელი პირია.

**– „ოცნებისტები“ არიან?**

– გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ გეტყვით, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში უდიდეს თანამდებობებზე არიან.

**– ესე იგი, ამ ადამიანებმა იციან, „ცენტრ პოინტში“ რეალურად რა მოხდა?**

– რასაკვირველია, თუმცა კონკრეტულ პირებთან საქმე არ მაქვს. მე, როგორც მოქალაქეს, მინდა, ჩემი სახელმწიფოს ნებისმიერი წევრი დაცული იყოს!..

ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ვახტანგის თავზე არახავერდოვნად გადაიარა, სადაზღვევო კომპანიამ, სადაც „ცენტრ პოინტის“ მშენებლობა იყო დაზღვეული, თქვა, რისკები დიდიაო და ქვეყნიდან გავიდა. სხვათა შორის, სწორედ ამ დროს სატივეზე მშენებლობა დაწყებული კი არ იყო, არამედ, „ჩონჩხი“ იდგა, ერთ დილას შეიარაღებული სპეცრაზმი შევიდა და იქაურობა დააპატიმრა ანუ ჩვენ ყოველთვის გვაპატიმრებენ!

2004-ის დასაწყისშივე, გუკა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დაიჭირეს. ამ დროს უკვე დემონიზირებულები ვართ. არადა, როგორც დღეს, მაშინაც მშენებლობა დაწყებული გვქონდა და შეწყვეტა არ შეგვეძლო. მოკლედ, ყველაფერ ამის მიუხედავად, ვცდილობდით, ახალმოსულებთან კეთილი ურთიერთობა დაგვემყარებინა და 2004 წელს, ე.წ. „აჭარის რევოლუციის“ შემდეგ, მაია ასეთ ნაბიჯს დგამს – პირველი ინვესტორია, ვინც აჭარაში შედის და მშენებლობას იწყებს ანუ სახელმწიფო მმართველობას გვერდით უდგება.

**– ერთგვარ კონიუნქტურაზე წახვედით?**

– როცა ბიზნესი გაქვს, სახელმწიფოსთან თანამშრომლობა გჭირდება, რადგან სხვანაირად ბიზნესს ვერ გააკეთებ! მაიამ გადაწყვიტა, სახელმწიფოსთვის ეჩვენებინა, თუ რა შეუძლია ყველანაირი ინვესტორისა და საბანკო კრედიტის გარეშე, თავისი საოცარი შრომისმოყვარეობითა და არანორმალურად კარგი გუნდით.

**– ქალბატონო რუსუდან, 2008 წელს, სამგორის რაიონში, კენჭი „ნაცმოძრაობის“ მაჟორიტარად იყარეთ და ეს იმიტომ გააკეთეთ, რომ ბიზნესს სახელმწიფო მმართველობასთან კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს?**

– არა! ეს ჩემი მხრიდან არც დათმობა იყო და არც – მსხვერპლი! 2006 წლიდან, მაიას კომპანიაში კარგი მენეჯერები ჰყავდა, თან სახელმწიფოც გვერდით ედგა და როცა მაიამ თქვა, მიშასთან ერთად შენება ბედნიერება იყოო, სწორედ 2004-2006 წლებს გულისხმობდა – ამ პერიოდში, მაიას შენების არ ეშინოდა ანუ სახელმწიფოს მხრიდან რამე დახმარებას კი არ იღებდა, უბრალოდ, მწვანე ჰქონდა ანთებული, რომ ემუშავა!

... 2004-ში, გუკა რომ დაიჭირეს, მაიას ჰკითხეს, სახელმწიფოს მიმართ რამდენად ლოიალურად იყო განწყობილი. მაიამ მიუგო, დამნაშავე, ჩემი შვილია თუ სხვა, უნდა დააპატიმროთო. ამ პასუხს არ ელოდნენ... „ხავერდოვანი რევოლუციის“ მეორე დღეს, პატრიარქმა ვახტანგს უთხრა, რაც უნდა გაგიკეთონ, ყველას ყველაფერი აპატიე, ამიტომ იერუსალიმში წადი და იმ ადამიანებზე ილოცე, ვინც შენზე ხელი აღმართესო. იერუსალიმში, მართლაც, წავედით... მოკლედ, ყველაფერ აქედან გამომდინარე, დაინახეს, რომ მაია ქვეყნის მშენებლობაზე იყო ორიენტირებული და მის მიმართ კეთილგანწყობა გაუჩნდათ...

**– 2012 წლის არჩევნების შემდეგ, მალევე იგრძენით, რომ თქვენზე შეტევა მოხდებოდა?**

– არა, ამას მანამდე ვგრძნობდით!

**– ეს როგორ?**

– როგორ და, 2010 წელს, მაშინდელმა ოპოზიციამ, ხელმძღვანელი პირების გამოყენებით და ყველა მათგანის ვინაობა ვიცი, ჩემს წინააღმდეგ, პარლამენტთან მიტინგები დაიწყო – ჩემს ფიტულს წვავდა, ნაგვის ურნებზე ფოტოებს აკრავდა  და ესეც წამება იყო! ეგონათ, მშენებლობის ბიზნესს, რომელიც 2008 წელს შენელდა, „ვკრიშავდი“.

**– მშენებლობის შენელება აგვისტოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ბრალი იყო?**

– ცხადია... სხვათა შორის, პარლამენტში რომ შევედი, დეკლარაციით, საოცრად შეძლებული ადამიანი ვიყავი და ბუნებრივია, არაფერი დამიმალავს ან როგორ უნდა დამემალა?.. 2008 წლის 1 აგვისტოს, მაიამ სოფელ ქურთაში, სახელმწიფოს სასტუმრო ჩააბარა, რომელიც ავტომატის ჯერის ქვეშ ააშენა... ყველაფერი ეს, რასაც გიყვებით, გამოძიების მასალებში არის, თუმცა პროკურატურამდე, კომპანიიდან 15 ტომარა მასალა „დექსუსმა“, ყოველგვარი აღწერის გარეშე გაიტანა.

**– როდის?**

– 2010 წელს.

**– „ნაცმოძრაობა“ მაშინდელ ოპოზიციასთან ერთად გებრძოდათ?**

– არა, ერთად არა, ცალ-ცალკე.

**– ესე იგი, „ნაცმოძრაობის“ გარკვეული ფრთისა და იმდროინდელი ოპოზიციის თქვენს წინააღმდეგ აქტიურობა ერთმანეთს, უბრალოდ, დაემთხვა?**

– დიახ... 2008 წელს ანუ მას შემდეგ, რაც კრიზისი დაიწყო, მაია მუშაობის ბარტერულ სტილზე გადავიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მშენებელს, ფულის ნაცვლად, აშენებულ ფართს, ან სამშენებლო მასალას აძლევდა. ყველაფერ ამას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი დაემატა: დევნილებისთვის სახლები, სხვადასხვა სამშენებლო კომპანიასთან ერთად, მაიამაც საკუთარი სახსრებით ააშენა... სწორედ ამ დროს, სააკაძის მოედანზე, მერიის გვერდით მდებარე ათი კორპუსის მშენებლობას უჩერებენ და ყველაფერი სწორედ აქედან იწყება!

**– მშენებლობის შეჩერება ვის ინტერესში შედიოდა? „დექსუსი“, ხალხური მითოსით, გიგი უგულავასთან ასოცირდებოდა..**

– გასაგებია, მაგრამ გიგი გადაწყვეტილებებს მარტო ხომ არ იღებდა?

**– აბა, მიშასთან ერთად?**

– არა, არა... ყველაფერი დრომ განსაჯოს!.. ჯერ კიდევ 2008 წლამდე იყო ნათქვამი, რომ სააკაძის მოედანზე მერია უნდა გადასულიყო. მშენებლობის შეწყვეტის საფუძვლად ის დასახელდა, რომ ზუსტად არ იყო გადაწყვეტილი, მერიის უკანა შესასვლელთან რა უნდა განთავსებულიყო. პარალელურად, „ცენტრ პოინტის“ წინააღმდეგ ჩივილს პროფკავშირი იწყებს და მიწის რაღაც „წითელ ხაზზე“ დავობს... მოკლედ, მერიასთან ჭიდაობა იწყება, რაც ბიზნესში აბსოლუტურად გამორიცხულია და ვითარების მოგვარებას ცდილობ... დოკუმენტაცია და მხოლოდ ჩვენი კი არა, ყველა იმ კომპანიის რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც საბანკო კრედიტის გარეშე მუშაობდა, ზურაბ ადეიშვილს მივუტანე. გამოიყო ჯგუფი, რომელმაც ყველაფერი შეისწავლა. სხვათა შორის, ამ დროს გიგის მიერ ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია პროექტი – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“. მოკლედ, ჩვენთან „დექსუსი“ გამოუშვეს, რომელსაც რეაბილიტაცია დაევალა და რომელმაც კომპანიის ქონება 95 მილიონად შეაფასა.

**– ქალბატონო რუსუდან, შეიძლება, არასწორი წარმოდგენა შემექმნა, მაგრამ „ნაციონალები“ ბიზნესს „გახევდნენ“?**

– იცით, რა არის? – კომპანიაში „დექსუსის“ შემოსვლას, მე და მაია სხვადასხვანაირად ვაფასებთ, ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენს ოჯახში რთული პროცესი დაიწყო. ისე, „დექსუსთან“ დაკავშირებით, მაიას არათუ საჯარო განცხადებები აქვს გაკეთებული, არამედ, საჩივარი სასამართლოშიც აქვს შეტანილი და ის გადაწყვეტილება, რომელიც მის მიმართ გამოიტანეს, მაშინაც ზუსტად ისე შეაფასა, როგორც დღეს პატიმრობას აფასებს.

**– მაშასადამე, 2010 წელს, დებს შორის უკმაყოფილება გაჩნდა?**

– ერთ აზრზე არ ვიყავით... გიგი უგულავას სიტყვებია, რუსუდან, მზად ხართ, რომ სპილენძის მილებში გაიაროთო?! მივუგე, გიგი, ჩემმა ოჯახმა გამომგზავნა, რომელიც ყველა განსაცდელის გადასატანად მზადაა, რათა ადამიანების ქონება გადარჩეს-მეთქი.

**– თქვენ და გიგის ამ დიალოგს სხვა ვინმეც ესწრებოდა?**

– არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას გიგი არასოდეს დამალავს.

**– მოკლედ, გიგისთან სიტუაციის მოსაგვარებლად მიხვედით?**

– არა... კომისიის შესამოწმებლად. ზურაბ ადეიშვილმა სპეციალური კომისია გამოყო.

**– რატომ მაინცდამაინც ადეიშვილმა?**

– რატომ და, ომის შემდგომ რეაბილიტაციას ქვეყანაში, ადეიშვილი ხელმძღვანელობდა.

**– ... ქალბატონო რუსუდან, მაშინდელი ოპოზიციის ის ლიდერები, რომლებზეც წელან საუბრობდით, დღეს სახელისუფლებო ვერტიკალში არიან?**

– რა თქმა უნდა, არიან, მაგრამ თითოეულმა მათგანმა იცის, რომ პიროვნულად გაბრაზებული არ ვარ, რადგან ჩემთვის გასაგები იყო, სამიზნე რატომაც ვიყავი!

**– თქვენს წინააღმდეგ აქციები ფინანსდებოდა?**

– დიახ.

**– ვისგან?**

– დოკუმენტური მასალა არსებობს, ვინ, როდის და სად მონაწილეობდა, რომ ჩვენი დემონიზაციის საბოლოო მიზნისთვის მიეღწია! სხვათა შორის, ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა, მაგალითად, ევროკავშირის დელეგაციასთან შეხვედრაზე, ადამიანებს სპეციალურად აგზავნიდნენ, რათა ჩემზე ელაპარაკათ და შეხვედრა ჩაეშალათ...

სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსულმა ხელისუფლებამ, ჩემსა და მაიას წინააღმდეგ საქმე 12 ოქტომბერს აღძრა. ამასთან, სპეციალური კომისიაც შეიქმნა, რომელსაც მაშინ თინა ხიდაშელი ხელმძღვანელობდა. ჩვენი სასამართლო კი 2013 წლის 10 ივლისს, ზუსტად იმ დღეს გაიმართა, როცა ლადო ბედუკაძეს ყველანაირი ბრალდება მოუხსნეს.

თავს დამნაშავედ იმიტომ ვგრძნობ, რომ ის რეაბილიტაციის ფორმა, რომელიც ჩემი ხელისუფლებაში ყოფნისას, ჩემი გუნდის მხრიდან, მაიას მიმართ განხორციელდა, საოცრად შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და ტანჯვის მიმყენებელი იყო.

**– რას გულისხმობთ?**

– მაგალითად, თელავის „ინტურისტი“, მაიამ სახელმწიფოს 1 ლარად აჩუქა.

**– თუკი ყველაფერ ამაში თავს დამნაშავედ გრძნობთ, თავის დროზე, ხმამაღლა რატომ არაფერს ამბობდით?**

– მე, მაიასა და ვახტანგს, კომპანია „დექსუსთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, დუმილის ვალდებულება გვქონდა!

**– ხელშეკრულებაში ამ ვალდებულების ჩაწერა გაიძულეს?**

– ხელშეკრულება, თავისთავად, კაბალურია.

**– პროტესტის ნიშნად, გუნდი რატომ არ დატოვეთ?**

– რატომ უნდა დამეტოვებინა? პასუხისმგებლობა აბსოლუტურად გათვითცნობიერებულად ავიღე და ახლაც მიმაჩნია, რომ ქალი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის მაქსიმალურად უნდა იბრძოდეს! გუნდი არათუ დამეტოვებინა, არამედ, ვცდილობდი, ჩემთვის კი არა, ქვეყნისთვის ყველაფერი გამეკეთებინა, რაც იმ დროს შემეძლო! სხვა თუ არაფერი, იმას ვაკეთებდი, რომ მსოფლიოსთვის შემეტყობინებინა, რა ვითარებაში იყვნენ ომის შემდგომ, საქართველოში, ქალები.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან რამეს გეტყვით: დავით ნარმანიამ, 2016 წლის 13 თებერვალს, თბილისის შეჩერებული მშენებლობების განახლებაზე განკარგულება გამოსცა, რომელიც მაისში განმეორებით დამტკიცდა. ეს განკარგულება მხოლოდ „ცენტრ პოინტს“ კი არა, ყველა კომპანიას ეხებოდა. საერთოდ, თბილისში 100 მშენებლობაა შეჩერებული. ამასთან, მთავრობამ 2008 წელს დაზარალებული კომპანიებისთვის დღგ-ს დაბრუნების ვალდებულება აიღო. მოკლედ, თანამშრომლობა დაიწყო. ამ დროს, ინვესტორები მაიასაც ჰყავდა და მერიასაც, რომლებმაც კომპანიის რესურსები შეისწავლეს და მაიასთან, როგორც კერძო პირთან, მემორანდუმი გააფორმეს. ამ ვითარებაში, დაზარალებულებიც გააქტიურდნენ. ისე, ყველა დაზარალებულის მესმის, რადგან ისინი შედეგს ხედავენ და არ იციან, სინამდვილეში, რა ხდება.

**– ანუ, ქალბატონო რუსუდან, აღიარებთ, რომ დაზარალებულები არსებობენ, არა?**

– რა თქმა უნდა, ვაღიარებთ!

**– დავით ნარმანიას ზემოხსენებულ განკარგულებას მნიშვნელოვანს რატომ უწოდებთ?**

– იმიტომ, რომ მაიას დაპატიმრება მერიის ინტერესში არანაირად შედიოდა!

**– მაშასადამე, რა გამოდის?**

– რა და, „ოცნების“ ხელისუფლებაში, აბსოლუტური შეუთანხმებლობაა!“

**P.S. როგორც აღვნიშნეთ, ეს ინტერვიუ 2016 წლის აგვისტოშია ჩაწერილი, 2017 წლის 31 მარტს კი, თბილისის საქალაქო სასამართლომ, „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლები – მაია რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი, თაღლითობისა და მენაშენეთა კუთვნილი თანხების მითვისებაში დამნაშავედ სცნო და 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. რუსუდან კერვალიშვილმა საპატიმრო დატოვა. მაია რჩეულიშვილი კი ისევ ციხეში რჩება, არადა, არსებული ინფორმაციით, ყველა მომჩივანი დაკმაყოფილებულია. ამ ფონზე, უბრალოდ, საკითხავია, რა მიზანია აქვს მაია რჩეულიშვილის საპატიმროში დატოვებას?**

# „31 მარტი საქართველოს ხელახალი პოლიტიკური და ზვიად გამსახურდიას ფიზიკური დაბადების თარიღია!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ნესტან კირთაძე საქართველოს პირველ პრეზიდენტთან შეხვედრის დღემდე უცნობ დეტალებს იხსენებს

**1991 წელის 31 მარტი, საქართველოს უახლეს ისტორიაში გარდამტეხი თარიღია – ამ დღეს ჩატარებულ რეფერენდუმზე, ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა კითხვას – „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ სწორედ რეფერენდუმზე მიღებული შედეგი გახდა 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების საფუძველი. აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმში მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაც. 3 672 403 ამომრჩევლიდან, 3 295 493-მა, ხმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა. იმავე წლის 9 აპრილს, უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. საგულისხმოა, რომ 31 მარტს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეცაა და, ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ მსგავსი თარიღები შემთხვევითი არ არის. „ზვიად გამსახურდიას დაბადება საქართველოს ხელახალი პოლიტიკური დაბადების საწინდარი იყო“, – ასე აფასებს „ვერსიასთან“ საუბრისას ისტორიკოსი, ნესტან კირთაძე ისტორიული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას როლს ქართულ პოლიტიკაში:**

– თუ რაიმე თარიღი შემორჩენია საქართველოს უახლეს ისტორიას, 31 მარტის საქართველოს რეფერენდუმის დღე ერთ-ერთი გამორჩეულია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით, მოსახლეობის ყველაზე მაღალი ნდობის, გამოხატულებისა და ლეგიტიმაციის დადასტურებაა. ეს დრო საქართველოსთვის ძალიან ადვილი არ იყო, ვინაიდან საბჭოთა კავშირი იშლებოდა. მსოფლიო წესრიგი კი კავკასიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობას არ ითვალისწინებდა. ახალი წესრიგით გათვალისწინებული მხოლოდ ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა იყო. მინდა, ყველას შევახსენო, რომ საქართველოს, მეამბოხე ჩეჩნეთის გარდა, მაშინ გვერდით არავინ დაუდგა! როდესაც ქვეყნის შიგნით საკმაოდ დაძაბული ვითარება იყო, ზვიად გამსახურდიას ანუ მაქსიმალისტების (ასე ვუწოდებ, როგორც ისტორიკოსი და ასეც შევიდა ისტორიაში) მოთხოვნას ბევრი თანამოაზრე არ ჰყავდა, მათ შორის, საკუთარ გუნდსა და მოსახლეობაში. ზვიად გამსახურდიამ, არა მხოლოდ, როგორც ყოფილმა დისიდენტმა, არამედ, როგორც ნამდვილმა სახელმწიფო მოღვაწემ, მიიღო გადაწყვეტილება, წინააღმდეგობების მიუხედავად, ახალგაზრდების ჯგუფი აიყოლია და 31 მარტის რეფერენდუმი მოამზადა. მაშინ, როდესაც ჩემს თაობაში, სხვადასხვა ინსტიტუციასა და აუდიტორიაში განიხილავდნენ საბჭოთა კავშირის მოდერნისტულ კონსტიტუციას, ახალი თაობის ლიდერებმა, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, მოამზადეს რეფერენდუმი.

იმხანად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი გახლდით. სწორედ უნივერსიტეტში მზადდებოდა რეფერენდუმის კითხვა, მათ შორის, აფხაზურ ენაზე და მახსოვს, როგორ დაეძებდნენ აფხაზური ენის მცოდნეებს, რომ რეფერენდუმი აფხაზურ, როგორც ერთ-ერთ, სახელმწიფოდ მოაზრებულ ენაზეც ყოფილიყო აფხაზეთის მოსახლეობისთვის. ეს იყო ისტორიული გადაწყვეტილება და საქართველოს ყველა კუთხისა და ავტონომიური ერთეულის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოკითხვას. ეს საბჭოთა კავშირისა და მაშინდელი პოლიტიკური გენერალიტეტისთვის, რასაკვირველია, აღიარებული ცნობა და ყველაზე მაღალი ხარისხის ლეგიტიმაცია იყო, თუ რა პოლიტიკურ გეზს ირჩევდა საქართველო. საქართველომ გეზი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისკენ აიღო. ამიტომ, ეს არის ისტორიული დღე და ასე შევა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

**– 31 მარტს, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეცაა. ალბათ, შემთხვევითი არ არის ამ ორი თარიღის დამთხვევა. ქალბატონო ნესტან, თქვენი შეფასებით, როგორია ზვიად გამსახურდიას როლი ქართული პოლიტიკის ისტორიაში?**

– ზვიად გამსახურდიასთან მხოლოდ ადამიანური და ემოციური კი არა, არამედ, ისეთი დამოკიდებულებაც მაქვს, როგორიც საქართველოს პირველი პრეზიდენტთან უნდა მქონდეს.

1988 წლის ნოემბრიდან, როცა აქციები დაიწყო, ჩემი თანაჯგუფებელი და მე, აქციებს შევუერთდით. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ჩემი პოპულარობაც, როგორც ახალგაზრდა ისტორიკოსისა, ვინაიდან, უკვე ვწერდი 26 მაისზე, საქართველოს დამოუკიდებლობაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, აშშ-სა და ევროპასთან დამოუკიდებელი საქართველოს ურთიერთობაზე ანუ უკვე საკმაოდ პოპულარული პუბლიცისტი გახლდით.

ზვიად გამსახურდიას, „ლიტერატურულ საქართველოს“ მთავარი რედაქტორის კაბინეტში შევხვდი და როდესაც ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ ერთმანეთი გაგვაცნო, გამსახურდიამ თქვა, თქვენ უკვე მოხუცებული, სათვალიანი და წვერ-ულვაშიანი პროფესორი წარმომედგინეთ და ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუკი ასეთი ახალგაზრდა ასპირანტი, ამგვარი სითამამით აქვეყნებს საინტერესო პუბლიკაციებსო. ეს ჩემთვის ერთ-ერთი, ყველაზე მთავარი ადამიანის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის აღიარებას ნიშნავდა ჩემი კალმის, შესაძლებლობებისა და პუბლიკაციებისა, რაც ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა სწორედ დისიდენტური მოძრაობის გამორჩეული ლიდერი, ზვიად გამსახურდია. ეს იყო ისტორიული მომენტი, როდესაც მისი და საქართველოს წარმატების პარალელურად, კომუნისტური ნომენკლატურა რევანშისთვის ემზადებოდა, განსაკუთრებით კომუნისტური ბიზნესნომენკლატურა... მაშინ, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი წყდებოდა...

რაც შეეხება თარიღის დამთხვევას, თუკი არ იქნებოდა ღვთის ნება, ორი თარიღი ერთმანეთს არ დაემთხვეოდა. როგორც ჩანს, ბედისწერა ვარაუდობდა, რომ წამებული პრეზიდენტის, რომელსაც ბოლომდე სდიეს და ფიზიკურად გაანადგურეს, დაბადების თარიღი მუდამ ცოცხალი ყოფილიყო და ასე ერთმანეთს დაუკავშირდა საქართველოს ხელახალი პოლიტიკური დაბადება.

ხაზგასმით ვამბობ: ეს იყო საქართველოს ხელახალი პოლიტიკური და ზვიად გამსახურდიას ფიზიკური დაბადება. ეს ორი, უმნიშვნელოვანესი თარიღი ერთმანეთს გადაეჯაჭვა და ასე გააგრძელებს არსებობას საქართველოს ისტორიაში.

**– ქალბატონო ნესტან, სადაც ზვიად გამსახურდიას და დამოუკიდებლობისთვის თავგანწირვას ვახსენებთ, იქ მერაბ კოსტავაც თავისთავად მოიაზრება. რას იტყვით ახალს, ამ ორი ფასდაუდებელი ეროვნული მოღვაწის შესახებ?**

– კიდევ ერთხელ გავიხსენებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც მაშინ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი სივრცე იყო და ეს პანთეონი ყოველთვის მზად გახლდათ, რომ თავისუფალი აზრის მანიფესტაცია აღებეჭდა.

უნივერსიტეტის წინ მდებარე „ჩაის სახლში“, სადაც ვიკრიბებოდით მაშინდელი, ძალიან ცნობილი სტუდენტები და ასპირანტები, ხდებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა. სხვათა შორის, „ჩაის სახლში“ შეკრებილთა ერთი ნაწილი, ზვიად გამსახურდიას პარლამენტში მოხვდა, მეორე ნაწილი კი – შემდგომ პარლამენტში.

ამდენად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სივრცეს, სადაც მართლაც, ერთმანეთს ეჭიდებოდნენ თავისუფლების აზრის მაშინდელი გიგანტები ანუ სტუდენტები და ასპირანტები, რომლებიც, თურმე, ქმნიდნენ საქართველოს უახლესი ისტორიის საფუძვლებს.

ერთ დღეს, დიდი ჩოჩქოლი იყო უნივერსიტეტში. თქვეს, უნივერსისტეტის სააქტო დარბაზში, ერთად მოვლენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდიაო. მაშინ ვიცოდით, რომ ისინი ერთმანეთთან უბრად იყვნენ მიზეზთა გამო და როდესაც შევედით სააქტო დარბაზში, ვნახე დარბაისლური, კოლხური ზრდილობა ზვიად გამსახურდიასი, მერაბ კოსტავას მიმართ. იგრძნობოდა, რომ ის ანიჭებდა უპირატესობას მერაბ კოსტავას, როგორც მართლაც, ზნეობრივ სახეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, რომელმაც ბოლომდე შესვა საბჭოთა „შხამიანი შარბათი“, რასაც ერქვა პოლიტიკური პატიმრობა. ეს იყო აღიარებული საერთაშორისო უფლებადამცველების მიერ. მაშინ ვნახეთ, როგორ მოუბოდიშეს ერთმანეთს ორმა თანამოაზრემ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხში, თუმცა შეიძლება, ტაქტიკურად, აზრობრივად გაყოფილმა ორმა ტიტანმა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა, ვნახეთ, როგორ ესაუბრებოდნენ აუდიტრიას, ჩვენ – სტუდენტებს, ასპირანტებს ანუ მომავალ თაობას და როგორ წყდებოდა იქ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბედი, რომლის დუღაბი და საფუძველი იყო ზნეობა, სამართალი, სიმართლე, წესიერება, პატიოსნება და რაც ყველაზე მთავარია, სამშობლოსთვის თავგანწირვის ფიცი დავდეთ ყველამ, იმ დღეს, უნივერსიტეტში.

ამ ორმა დიდმა ეროვნულმა ლიდერმა სამშობლოსთვის თავდადებისა და თავგანწირვის ხილული მაგალითი გვაჩვენეს.

მადლობელი ვარ, რომ როგორც ისტორიკოსს მეკითხებით ამას და თქვენს გაზეთს ვეთაყვანები, პატივს ვცემ მისი დიდი ისტორიისა და თავისუფალი აზრის სარბიელის გამო... პირდაპირ შემიძლია, გითხრათ – საქართველოს ისტორიას ჰყავს გამორჩეული მირონცხებული მეფეები, რომლებიც მუდამ მისი დამოუკიდებლობისა და ძლიერებისათვის იბრძოდნენ და საქართველოს ისტორიას ჰყავს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გამორჩეული მოაზროვნეები. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ღირსეულად იკავებენ ამ ზეციური საქართველოს თანავარსკვლავედში დიდებულ ადგილს, ილია ჭავჭავაძისა და ყველა სხვა თანამედროვე ერის მამის გვერდით. მათ საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძველში ჩადეს ეროვნულობა, თავისუფლება, ზნეობრიობა, ქრისტიანული ფასეულობები ანუ ყველაფერი, რაც საქართველოს მომავალთან არის დაკავშირებული.

რამდენიც უნდა წავიდ-წამოვიდნენ მემარცხენე ან ლიბერალური მემარცხენე უსამშობლოთა ნაკადები საქართველოს ისტორიაში, ისინი მხოლოდ გაელვებას წარმოადგენენ. სამაგიეროდ, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მუდამ იქნებიან სამშობლოს მოდარაჯე და დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი მამები.

# ძალიან მწარე რეალობა – კორონაპანდემიის გამო, ქართული ტურიზმი 2.8 მილიარდი დოლარით დაზარლდა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**კორონავირუსის პანდემიით ტურიზმის სექტორი 2.8 მილიარდი აშშ დოლარით დაზარალდა. მიუხედავად იმისა, რომ 24 თებერვალს, საქართველოს მთავრობამ პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები ეტაპობრივად გახსნა და ხალხმა მთის კურორტებს მიაშურა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურისტული სეზონი მაინც ჩავარდა.**

**25 თებერვლიდან, ზამთრის კურორტებზე სასტუმროები მკაცრი სანიტარული ზომების დაცვით გაიხსნა, 8 მარტიდან საბაგიროებიც ამუშავდა, რესტორნებსა და კაფეებს კი საშუალება მიეცათ, სტუმრები უკვე შენობაში მიეღოთ. სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის თავმჯდომარე, შალვა ალავერდაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ საქართველო, რომლის ეკონომიკაც ძირითადად ტურიზმის განვითარებაზე იყო ორიენტირებული, მსოფლიოს მასშტაბით, ერთ-ერთი უმკაცრესი რეგულაციების მქონე ქვეყანაა. ამ პირობებში, რასაც კომენდანტის საათიც ემატება, ჩვენს ქვეყანას უცხოელი ტურისტები არ ეწვევიან.**

**– შალვა, რა შედეგი მოჰყვა სასტუმროების გახსნას ზამთრის კურორტებზე?**

– მთის კურორტებზე სასტუმროების 40% გაიხსნა, მაგრამ სრულად დატვირთვა ვერ შეძლეს ანუ ძალიან ცუდად იმუშავეს.

**– იყვნენ თუ არა საერთაშორისო ვიზიტორები?**

– არ გვყოლია, მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობა მივიღეთ.

**– იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელშიც ახლა ვართ, რა არის აუცილებლად გასაკეთებელი, რომ ტურიზმის სექტორი ამუშავდეს?**

– დროული ვაქცინაცია! მიგვაჩნია, რომ კომერციული ვაქცინაცია გვჭირდება, რაც აუცილებლად და ძალიან სწრაფადაა დასაწყები.

**– ეს რამდენად ეფექტური იქნება, ან სასტუმროები კომერციულ ვაქცინაციაში ჩაერთვებიან?**

– კომერციული ვაქცინაცია იმას ნიშნავს, რომ საშუალება მიეცეთ კერძო კომპანიებს, შემოიტანონ ვაქცინა, მაგრამ სახელმწიფოს მეთვალყურეობით, რათა ხარისხი კარგი იყოს. ვაქცინა, ჩვეულებრივ, გაყიდვაში უნდა შემოვიდეს, რაც ერთი მხრივ, სახელმწიფოსაც დაეხმარება – გაცილებით მეტი ადამიანი აიცრება, ვისაც საშუალება აქვს, მეორე მხრივ კი, სასტუმროებისთვის ეს ჩვეულებრივი, მარკეტინგული ნაწილი ანუ კიდევ ერთი „ხრიკი“ იქნება – როდესაც სასტუმროს პერსონალი აცრილია, უფრო მეტ სტუმარს მიიზიდავენ საზღვარგარეთიდან.

მეტსაც გეტყვით, კომერციული ვაქცინაცია სტუმრებისთვისაც ისე უნდა დაიწყოს, როგორც ეს დუბაიშია მიღებული – იქ სტუმრებს სასტუმროებში ცრიან, ზოგ შემთხვევაში კი, სტუმარი 21 დღეც კი რჩება დუბაის სასტუმროში, რათა ვაქცინის მეორე დოზაც იქვე გაიკეთოს. ჩვეულებრივ, დუბაიში, 21-დღიან ტურებს სთავაზობენ სტუმრებს და ამ ტურებს ვაქცინაციაც ემატება.

**– კორონავირუსამდე, ზაფხულის სეზონისთვის მზადება უკვე გაზაფხულიდან იწყებოდა ხოლმე. დღეს, ამ მხრივ, რა ვითარებაა?**

– ამ ეტაპზე, გლობალურად, ტურიზმის მოწყობა მთლიანად შეცვლილია. ასეთი სქემა იყო: გვქონდა ე.წ. ქანსელეიშენ პოლისი (cansellation police – ჯავშნის გაუქმება), რაც ნიშნავს, რომ თუ სტუმარი ჯავშანს მიუქმებდა 72 საათით ადრე, მას 100%-ით ვაჯარიმებდი, ხოლო თუ ერთი კვირით ადრე მიუქმებდა – 50%-ით. ახლა ეს სისტემა მთლიანად შეიცვალა ანუ „ქანსელეიშენ პოლისიც“ აღარ არსებობს და თუ ჯავშანს მიუქმებს, ვეღარ ვაჯარიმებ.

გარდა ამისა, დადასტურებული ჯავშნების რაოდენობა 95%-ით შემცირდა ანუ თითქმის აღარ არსებობს. თუ ადრე, ერთი ან ორი წლით ადრე გვქონდა დადასტურებული ჯავშნები, თანაც წინასწარი გადახდის საფუძველზე, ახლა ეს სისტემა საერთოდ შეიცვალა. სასტუმროებმა, შესაძლოა, სტუმრები მიიღონ კონკრეტულ დღეს, რადგან გრძელვადიანი დაგეგმარებით არავინ გეგმავს ამა თუ იმ ქვეყანაში წასვლას. ეს გლობალური პრობლემაა, ასეთი მდგომარეობაა მსოფლიოს მასშტაბით, რადგან არავინ იცის, რა მოხდება მომავალში.

**– ამ რეალობის გათვალისწინებით, კომერციული ვაქცინაციის გარდა, რა უნდა გაკეთდეს, რომ ტურიზმის სექტორი გადარჩეს?**

– ავიღოთ თურქეთის მაგალითი, სადაც 1 მაისიდან კი არა, როდესაც სეზონის გახსნა იყო დაგეგმილი, 1 აპრილიდან უფრო მეტი ჯავშანია, რაც ოდესმე ყოფილა. ოთახების დეფიციტია, იმდენი ტურისტი წაიყვანეს უკვე. ყველგან გადის თურქეთის რეკლამა, რომ ესაა უსაფრთხო ქვეყანა, იქვე ხსნიან, თუ რა რეგულაციებით შეჰყავთ ტურისტები და რა პირობებს სთავაზობენ. თურქეთი სამაგალითო ქვეყანაა ჩემთვის, თუ როგორ ჩაჰყავს ტურისტი და როგორ აცხოვრებს მათ. თურქეთის კარი ღიაა მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის, განურჩევლად ერისა, სქესისა, რასისა, ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიისა.

ევროპის ქვეყნების ნაცვლად, სწორედ თურქეთის მაგალითია გასათვალისწინებელი ჩვენთვის იმიტომ, რომ იგივე – ინგლისი ან გერმანია, ძირითად შემოსავალს ტურიზმის სექტორიდან არ იღებდნენ და ეს ქვეყნები ტურიზმით არ ცხოვრობდნენ. საქართველო ტურიზმით ცხოვრობდა ისევე, როგორც თურქეთი. აქედან გამომდინარე, სჯობს, თურქეთის მაგალითი გავითვალისწინოთ.

**– შალვა, უფრო დეტალურად ამიხსენით, რას სთავაზობს თურქეთი ტურისტებს?**

– სამდღიანი, 72-საათიანი ტესტით უშვებს ტურისტს ქვეყანაში, იქ ჩასულ ადამიანს კი ადგილზე უკეთებს PCR-ტესტს და თუ პასუხი უარყოფითია, ის აბსოლუტურად თავისუფლად გადაადგილდება სასტუმროს სივრცეში, ყოველგვარი შეზღუდვების, ნიღბებისა და 21.00 საათზე დაძინების გარეშე, რაც ჩვენთვის დამღუპველია. როდესაც უცხოელ სტუმარს ესმის, რომ საქართველოში, საღამოს რვა საათზე, რესტორანი იკეტება, რადგან ცხრიდან კომენდანტის საათი იწყება, კატასტროფაა! შესაბამისად, ძალიან ბევრი ფიქრობს, წამოვიდეს თუ არა საქართველოში!

**შალვა ალავერდაშვილი: „კატასტროფაა, როცა უცხოელს ესმის, რომ საქართველოში, საღამოს ცხრა საათზე, კომენდანტის საათი იწყება!“**

წარმოიდგინეთ, რა ძნელია კომენდანტის საათი ზაფხულში, ან როგორ უნდა ვუთხრა სტუმარს, რომ საღამოს ცხრა საათზე დაიძინოს?! ასეთ პირობებში, ვერც ტურს დაგეგმავ წესიერად, რადგან არ იცი, რა უნდა გააკეთოს სტუმარმა საღამოს.

**– რა ოდენობის ზარალი მიადგა ტურიზმის სექტორს პანდემიის პირობებში?**

– შარშანდელთან შედარებით, წელს უარესი მდგომარეობაა. შარშან ზარალი 2.8 მილიარდი აშშ დოლარი იყო. წელს, ამ მხრივ, სამწუხაროდ, არაფერი გამოსწორებულა. პატარ-პატარა, ძალიან მცირე მასშტაბის მოგზაურობის დაწყება უნდა ხალხს, მაგრამ სახმელეთო საზღვარი ჩაკეტილია, ქვეყანაში კომენდანტის საათი მოქმედებს და მსოფლიოში ყველაზე მკაცრი რეგულაციების ქვეყანა ვართ!

როდემდე გაუძლებს ამას ტურიზმი, არ ვიცი. მკაცრი რეგულაციებით ცხოვრობენ აყვავებული ეკონომიკების მქონე ქვეყნები – გერმანია, ინგლისი ანუ ის ქვეყნები, რომლებსაც შეუძლიათ ამის ატანა და რომლებიც ტურიზმზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. როგორც გითხარით, ტურიზმზე დამოკიდებული თურქეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ტურისტები ჩაიყვანოს ქვეყანაში.

**– ასეთი მიდგომის გამო, პანდემია ხომ არ იფეთქებს?**

– არა, რას ამბობთ! იგივე, თურქეთში, ტურისტული სეზონი 1 მაისს უნდა დაეწყოთ, მაგრამ იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ ვადა გადმოსწიეს და 1 აპრილიდან ხსნიან. ჩვენი საუბარი რომ შევაჯამოთ, იმისთვის, რომ ტურიზმი გაიხსნას, უმთავრესია ვაქცინაცია, განსაკუთრებით კომერციული ვაქცინაცია, რაც პირველ რიგში, ქვეყნისთვის იქნება კარგი!

# განათლების საერთაშორისო ცენტრის „გრეხები“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

## აუდიტორების სკანდალური ვერდიქტი – რატომ ვერ მოახერხა დაფინანსებული ბენეფიციარების 30%-მა საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზება

**შავ-ბნელი 90-იანების ბოლოს, როცა ქვეყანა გრაფიკით განათდა, თითზე ჩამოსათვლელი უცხოელი ინვესტორებიც ალაგ-ალაგ გამოჩნდნენ და ნაომარი ქვეყნის ეკონომიკაც მძიმედ, მაგრამ მაინც დაიძრა, დასაქმებისთვის კი ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნა უმთავრეს კრიტერიუმად ითვლებოდა. თითზე ჩამოსათვლელი ინვესტორებისა და თითო-ოროლა კერძო კომპანიის ფონზე, მართლაც, ერთეულები ახერხებდნენ, რომ განათლება უცხოეთში მიეღოთ. კარგია, რომ დღეს, უცხოეთში სასწავლებლად გამგზავრება არათუ შესაძლებელი, არამედ, ხელმისაწვდომიცაა და ამას კორონავირუსმაც კი ვერ შეუშალა ხელი – ონლაინ-კურსები „ზუმში“ ჩვეულებრივ ამბად იქცა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობით დაინტერესდა. ანგარიში, რომელიც უწყებამ გამოაქვეყნა, 2016-2019 წლებს მოიცავს.**

**სამთავრობო პროგრამის მიხედვით, ადამიანური კაპიტალი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია, რომელიც ჩართული უნდა იყოს ეკონომიკურ საქმიანობაში. ადამიანური რესურსების განვითარებისთვის აუცილებელია კარგი განათლება და უნარების განვითარება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიის თანახმად, წარმატების მისაღწევად, განათლების სისტემას სჭირდება ძალისხმევის გაგრძელება ცოდნის გაღრმავების გასაძლიერებლად, აკადემიური პერსონალისა და კადრების, ასევე, სტუდენტების საერთაშორისო მობილობისთვის. ამ მიზნით, 2014 წელს, „საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“ შეიქმნა, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „განათლების საერთაშორისო ცენტრი“ ახორციელებს.**

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად, რამდენად უზრუნველყოფს სისტემაში არსებული მექანიზმები საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობასა და მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზებას. იმის მიუხედავად, რომ საზღვარგარეთ განათლების მიღება სამთავრობო პროგრამის პრიორიტეტია და ამ მიზნით, სპეციალური სსიპ-იც კი შეიქმნა, აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მის მიერ დასაფინანსებელი პრიორიტეტული მიმართულებები არ ეფუძნება სისტემურ კვლევას, ამასთან, სამინისტრო არ მონაწილეობს აღნიშნული მიმართულებების ფორმირებაში. მეტიც, განათლების სისტემაში არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით.**

### ძირითადი დარღვევები

სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ მიზანია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება. აქედან გამომდინარე, ცენტრი იძლევა შესაძლებლობას, რომ საქართველოს მოქალაქეებმა საზღვარგარეთ მიიღონ განათლება და სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ, მიღებული ცოდნის რეალიზება საკუთარ ქვეყანაში განაგრძონ.

**„2014-2019 წლებში, ცენტრმა 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. ამ პერიოდშ, პროგრამის ბიუჯეტი 33 456 451 ლარი იყო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ცენტრის მიერ სათანადოდ არ განხორციელებულა მიღწეული შედეგების კვლევა და ანალიზი. კერძოდ, არ არის სრულად შეფასებული დასახული მიზნების მიღწევის პროგრესი – არის თუ არა საზღვარგარეთ მიღებული განათლება ქვეყანაში სათანადოდ რეალიზებული“,** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ „განათლების საერთაშორისო ცენტრს“ არ აქვს შემუშავებული სტუდენტთა საზღვარგარეთ საჭირო საყოფაცხოვრებო თანხების განსაზღვრის მეთოდოლოგია. კომისია თითოეული ქვეყნისთვის ამტკიცებს ზღვრულ ოდენობას, თუმცა არ არსებობს კალკულაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მეტიც, განსხვავებულია ერთსა და იმავე ქვეყანასა და პერიოდში, სხვადასხვა სტუდენტზე ამ მიზნით გაცემული დაფინანსება. მაგალითად, ესპანეთში, კანადაში, ინგლისში, სტუდენტები 8 000 აშშ დოლარით დააფინანსეს.

**„ცენტრისა და სამინისტროს მიერ არ არის დანერგილი შეფასებისა და მონიტორინგის საკმარისი მექანიზმები. კერძოდ, ცენტრს ეფექტიანობის შეფასების მიზნით არ ჩაუტარებია სათანადო კვლევა და ანალიზი. ამასთანავე, სამინისტროს არ შეუსწავლია ცენტრის საქმიანობა გამოყოფილი ფინანსური რესურსების პროდუქტიული და ეფექტიანი ხარჯვისა და დასახული მიზნების მიღწევის შესაფასებლად. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და ქვეყანაში დაბრუნების დასადგენად, ცენტრი არ ახორციელებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციას ან/და ინფორმაციის მოძიებას, მონიტორინგის სხვა მექანიზმების გამოყენებით“.**

ცენტრის მიერ დაფინანსებული ბენეფიციარების 30%-მა, საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზება ვერ მოახერხა, რაც სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, პროგრამის ძირითად მიზანს ეწინააღმდეგება.

### ხარვეზები პროგრამების დაგეგმვაში

ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტუდენტთა დაფინანსება ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რაც მომავალში, ხელს შეუწყობს როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და მათი ცოდნის რეალიზებას, ასევე, აღნიშნული დარგების განვითარებას ქვეყანაში. ცენტრის მიერ გამოცხადებული სასტიპენდიო პროგრამები ითვალისწინებს გრანტის გაცემას პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. 2014-2015 წლებში, ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით იყო დამტკიცებული, ხოლო მომდევნო წლებში, ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებებით, დამტკიცებულ სასტიპენდიო პროგრამებში გაითვალისწინეს.

**„ცენტრის დირექტორის ბრძანებით, 2019-2020 სასწავლო წლების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებისთვის პრიორიტეტულად განისაზღვრა შემდეგი პროგრამული მიმართულებები, დარგთაშორისი მიმართულებები და სპეციალობები: აგრარული მეცნიერებები; განათლება; ინჟინერია; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები; ჰუმანიტარული მეცნიერებები; სამართალი; არქიტექტურა; საჯარო მმართველობა; მენეჯმენტი. 2016 წლამდე, პრიორიტეტულ მიმართულებებად არ იყო განსაზღვრული არქიტექტურა და საჯარო მმართველობა, ხოლო მენეჯმენტის ნაცვლად, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობა ფინანსდებოდა“.**

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2019-2020 წლების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ცენტრის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, სულ 39 სტიპენდიანტი დაფინანსდა, რაც ასე გადანაწილდა:

2018 წელს, ცენტრმა საჭირო კადრების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, წერილი გაუგზავნა 12 სხვადასხვა სამინისტროს. აქედან 7 სამინისტროს პასუხების მიხედვით, ყველაზე დიდი მოთხოვნა ადამიანური რესურსის საჭიროებაზე დგას ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო და აგრარული მიმართულებებით. ამ სპეციალობებს უკვე ფარავდა ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები, თუმცა მიუხედავად გამოკითხვის შედეგებისა, დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობის განსაზღვრის დროს, ამ პროფესიის კონკურსანტებისთვის პრიორიტეტი არ მიუნიჭებიათ.

**„აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემულ მიმართულებებზე, ბენეფიციართა მიმართვიანობა დაბალია. სამინისტროებისთვის საჭირო მიმართულებებით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობაც საკმაოდ დაბალია. სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ინჟინერიის მიმართულებით დაფინანსებულია სტუდენტთა მხოლოდ 5%, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე – 7%, ხოლო აგრარულ მეცნიერებებზე – 4%. სადოქტორო პროგრამებზე კი ამ სამი მიმართულებიდან დაფინანსებულია მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – 14%“.**

### ხარვეზები საყოფაცხოვრებო თანხების განსაზღვრაში

სწავლის ღირებულების დაფინანსების გარდა, „განათლების საერთაშორისო ცენტრი“ საკუთარ ბენეფიციარებს, საზღვარგარეთ საცხოვრებლად საჭირო შესაბამისი თანხებითაც უზრუნველყოფს.

**„2014-2015 წლებში, ქვეყნების მიხედვით, საყოფაცხოვრებო თანხების ზღვრული ოდენობები არ დაუდგენიათ. მათი განსაზღვრა ხდებოდა ცალკეული ბენეფიციარის მიხედვით და განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. 2016 წლიდან, კომისიის სხდომის ოქმებში აღნიშნულია, რომ კონკურსანტთა უმეტესი ნაწილი, სწავლის პერიოდში, საზღვარგარეთ ცხოვრებისთვის საჭირო ხარჯების ასანაზღაურებლად გაცილებით დიდი ოდენობის თანხას ითხოვდა, ვიდრე რეალურად სჭირდებათ სტუდენტური ცხოვრებისთვის. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო, რომ საცხოვრებელი ხარჯების ზღვრული ოდენობა, თითოეული ქვეყნისთვის, ცალკე დაედგინათ“.**

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ კომისიას არ დაუსაბუთებია, როგორია თითოეულ ქვეყანაში სტუდენტური ცხოვრებისთვის საჭირო მინიმალური ხარჯები და რა სახის კალკულაციებს ეფუძნება მათ მიერ განსაზღვრული ოდენობები, სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით. ამასთან, 2016 წლიდან, მოცემული ზღვრული ოდენობები უცვლელია და არ არის გათვალისწინებული მიმდინარე პერიოდში, სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრის ცვლილება. მაგალითად, 2014 წელს აშშ-ში საცხოვრებელი თანხა კონკრეტულ ბენეფიციარებზე განისაზღვრა 14 000 აშშ დოლარით, ხოლო 2016 წლიდან, ზღვრული ოდენობა შეადგენს 12 000 დოლარს. გარდა ამისა, ზღვრული ნორმების ოდენობა ერთი და იგივეა ათი, სხვადასხვა ქვეყნისთვის.

# სამართალი

№9 31 მარტი 2021 წ


# სისხლიანი გარჩევა სასამართლოში – ადვოკატმა მკვლელი, რომელმაც შვილი მოუკლა, დანით დაჭრა

## ვინ არის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც შეყვარებულ წყვილებზე „აბრეზით“ ნადირობს

ბათო ჯაფარიძე


**სისხლის აღების ტრადიცია მთაში დღემდე შემორჩენილია. ადრე უფრო მრავლად იყო ასეთი შემთხვევები და მიჩუმათებას ცდილობდნენ... მთა დღესაც მთის წესებითა და კანონებით ცხოვრობს და კარგია ეს, თუ ცუდი, თავად განსაჯეთ, თუმცა სისხლის აღების ინსტიტუტი მხოლოდ მთაში არ მოქმედებდა. არცთუ იშვიათად ყოფილა შემთხვევა, როცა დამნაშავე (ძირითადად, მკვლელი ან მოძალადე) ლინჩის წესით სოფელს გაუსამართლებია და სამართალდამცავები უძლურნი ყოფილან.**

ყველაფერი ძალიან უცნაურად დაიწყო. ახალგაზრდა კაცი, საცოლესთან ერთად, სკვერში სეირნობდა. ვიღაცამ გვერდით უხეშად ჩაუარა და ქალს მხარი გაჰკრა. კაცმა ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, მან კი ქურთუკიდან „აბრეზი“ ამოიღო და დაუმიზნა. ბიჭმა მოასწრო, „აბრეზზე“ ხელი აუკრა და მან ჰაერში გაისროლა. სანამ მეორეს ესროდა, წყვილი აღარ დაელოდა და გაიქცა. უცნობი გაეკიდა, თუმცა რაღაცას ფეხი წამოჰკრა და დაეცა. სანამ წამოდგებოდა, წყვილმა გვარიანი მანძილი მოიგო. წაქცეული წამოდგა, მიმოიხედა და სკამზე მეორე წყვილი შენიშნა. ისინი გაოცებულები და შეშინებულები უყურებდნენ ყველაფერს. უცნობმა „აბრეზი“ გადატენა, სკამზე მჯდარ წყვილს გაუღიმა და მათი მიმართულებით გაისროლა, ჯერ ერთი, მერე – მეორე.

გოგონა ადგილზე გარდაიცვალა, ბიჭი, უმძიმესი დაზიანებებით, საავადმყოფოში გადაიყვანეს და მისი გადარჩენა მოხერხდა.

„მკვლელობიდან მეორე დღეს, ჩემთან, ქალაქში საკმაოდ ცნობილი ადვოკატი მოვიდა. წესიერი კაცის სახელი ჰქონდა, პატივს ვცემდი, მკვლელსა და მოძალადეს ადვოკატად არასდროს უდგებოდა, საკუთარ თავთან უნდა ვიყო მართალიო. ორი შვილი ჰყავდა, ქალ-ვაჟი. ბიჭი ავარიაში დაეღუპა, გოგო კი... ის გოგო იყო, სკვერში რომ მოკლეს. ეს მთასავით კაცი დაპატარავებული მეჩვენა. ჩუმად მკითხა, რამე სამხილი თუ გაქვთ, ან ეჭვმიტანილი თუ გყავთო. არაფერი მქონდა, საერთოდ არაფერი. ერთადერთი, ექსპერტებმა ადგილზე ამოიღეს მეშვიდე კლასის ალგებრის წიგნის ფურცლების ნაფლეთები. ეს კი იმის დასკვნის საფუძველს გვაძლევდა, რომ ტყვიები „აბრეზში“ ხელნაკეთი იყო და დენთის თუ კარტეჟის დასამაგრებლად, სწორედ ალგებრის წიგნის ფურცლები გამოიყენეს.

ექსპერტებმა ისიც თქვეს, გვერდებიც კი ემთხვევაო ანუ ვიღაც სწორედ ალგებრის წიგნზეა მიმდგარი და ფურცელ-ფურცელ, მისგან ტყვიების საცობებს აკეთებსო.

ფოტორობოტის შექმნას აზრი არ ჰქონდა, ისე იყო შეშინებული გადარჩენილი წყვილი, ლამის რქებიანი ეშმაკი აღწერეს.

– გემუდარები, მკვლელი იპოვეო, დამიბარა ადვოკატმა და წავიდა“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ერთადერთი, რაც ზუსტად იცოდა გამოძიებამ, ის იყო, რომ თავდამსხმელი, მაქსიმუმ, 25 წლის იქნებოდა. ეს არ იყო პატარა საქმე. ადამიანის მოკვლის გადაწყვეტილება მარტივად არ მიიღება და არც ადვილად შესასრულებელია. ამიტომ, ძებნა მათ შორის დაიწყო, ვინც ციხიდან ახალი გათავისუფლებული გახლდათ და სასჯელს ძალადობრივ დანაშაულზე იხდიდა.

ბოლო ორი თვის განმავლობაში, ერთადერთი მკვლელი იყო გათავისუფლებული და ისიც მესამე დღეს, ქურდობისთვის უკან შეაბრუნეს ანუ ისეთი არავინ იყო, ვისზეც ეჭვის მიტანა შეიძლებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ვიღაც ახალი გამოჩნდა, ადამიანი, რომელიც მზად იყო, ნებისმიერი მარტივად მოეკლა. საქმე მხოლოდ მკვლელობის გახსნა არ იყო, სასწრაფოდ უნდა დაეკავებინათ პირი, რომელიც ასე მარტივად იმეტებდა გარშემომყოფთ და რაც მთავარია, თან ჰქონდა იარაღი, რომლის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდებოდა.

სამართალდამცავები იმასაც ხვდებოდნენ, რომ თუ იარაღმა ერთხელ გაისროლა, ის მეორედაც გაისროდა და დიდხანს ცდა არ მოუხდათ: ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიაში უცნობი ბიჭი შევარდა, „აბრეზი“ ამოიღო, ერთი ტყვია ჰაერში გაისროლა, შემდეგ ლულა გამყიდველს მიუშვირა და ფული სთხოვა. მთლიანობაში, 130 მანეთი წაიღო და სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ ეს სწორედ მათ მიერ ძებნილი პირი იყო.

ექსპერტებმა ალგებრის წიგნის ნაფლეთები იპოვეს. სისულელე იყო, ყველა მეშვიდეკლასელი მოსწავლე გადაემოწმებინათ, რადგან მათი რიცხვი რამდენიმე ათეული გახლდათ და წიგნიდან ფურცლების ამოხევა ყველას შეეძლო, თანაც ხომ შეიძლებოდა, წიგნი მოსწავლის არც ყოფილიყო, ვინმეს მაკულატურისთვის გადაედო და დამნაშავეს ისე ენახა?! რაც მთავარია, დამნაშავე ყველაფერს ნიღბის გარეშე აკეთებდა ანუ საერთოდ არ აინტერესებდა, იცნობდა ვინმე, აღწერდა თუ არა... ეს კიდევ ერთხელ მიუთითებდა, რომ სამართალდამცავებისთვის ის სავსებით უცნობი პიროვნება იყო და ყველაფერ ამით არათუ ერთობოდა, არამედ, სიამოვნებას იღებდა კიდეც.

მთელი შემადგენლობა გაფრთხილებული იყო, თუ დაინახავდნენ პირს, რომელიც „აბრეზით“ იქნებოდა შეიარაღებული, გაფრთხილების გარეშე ესროლათ, რადგან თუ ის დაასწრებდა, აშკარად არ დაინდობდა.

„დამნაშავეს ვეძებდით ყველგან, ყველა ინფორმატორი ყურებზე გვყავდა დაყენებული, კი არ ვთხოვდით, მოვითხოვდით, რაიმე ინფორმაცია მოეცათ, მაგრამ უიმედოდ შლიდნენ ხელს, ახალია, მარტოა და შესაბამისად, ინფორმაციაც არ გვაქვსო. ის ჩემი ნაცნობი ადვოკატი ყოველდღე მაკითხავდა, მემუდარებოდა, ოღონდ ეგ კაცი იპოვე, მთელი ცხოვრება შენი მადლიერი ვიქნებიო. რად მინდოდა მაგის მადლიერება, დამნაშავის თავისუფლების ყოველი დღე იმას ნიშნავდა, რომ მოქალაქეები უსაფრთხოდ არ იყვნენ და იმ ნაძირალას შეეძლო, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიმართულებით გაესროლა.

კვანძი იმდენად მოულოდნელად გაიხსნა, თავი ზღაპარში მეგონა. ასეთი რამ, ალბათ, მხოლოდ კინოში ხდება, მაგრამ აგერ, ჩვენთანაც მოხდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ერთ დღეს, სასადილოში ორი ახალგაზრდა შევიდა. ერთმა ნაგანი ამოიღო და კბილებში გამოსცრა, ნავაჭრი მაგიდაზე დადე და არ გესვრიო. გამყიდველმა ქალმა კი ყველასთვის მოულოდნელად, დახლიდან ლუდის ბოკალი აიღო, მოიქნია და მთელი ძალით ვიტრინას ესროლა. ვიტრინა ჩაიფშვნა და გამვლელებმაც შიგნით შემოიხედეს. თავდამსხმელებმა გაქცევა დააპირეს, თუმცა მას, რომელიც უიარაღო იყო, ფეხი დაუცურდა და იატაკზე გაიშხლართა, იარაღიანს კი იქვე, კუთხეში მჯდომმა ახალგაზრდამ გადაამტვრია თავზე ლუდის კათხა და ადგილზე გონდაკარგული დააგდო. სამართალდამცავები მალე მივიდნენ, ორივე თავდამსხმელი გაკოჭილი იყო და ყველა დაკითხვაზე წაიყვანეს – გამყიდველი ქალიც, ის ახალგაზრდაც, რომელიც იარაღიანს არ შეუშინდა და კიდევ ორი ლოთი, რომლებიც სასადილოს კუთხეში, არაყს წრუპავდნენ.

„ჩემი განყოფილების საქმე არ იყო და შესაბამისად, ამ ამბით დიდად არ დავინტერესებულვარ. როგორც შემდეგ მითხრეს, ჯერ მოწმეები დაკითხეს, შინ მალე რომ გაეშვათ. ყველა იმ ახალგაზრდა ბიჭს აქებდა, რომელიც იარაღიან თავდამსხმელს არ შეუშინდა და იმის ნებაც კი დართეს, გამომძიებლის კაბინეტში მოეწია. როცა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, თან სანადირო თოფის ტყვია ამოაყოლა, ხოლო როცა გამომძიებლის კითხვით სავსე თვალები დაინახა, აგდებულად თქვა, იმ თავდამსხმელს გადმოუვარდა ჯიბიდან და წამოვიყოლე, ვინ იცის, რაში გამოგადგებათო. დაკითხვის შემდეგ, თავდამსხმელების გარდა, ყველა სახლში გაუშვეს და ყველაზე საინტერესოც აქ დაიწყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

თოფის ტყვია ექსპერტიზაზე წაიღეს და რაოდენ დიდი იყო გაოცება და სიხარული, როცა ტყვიის დაშლის შემდეგ, საფანტისა და დენთის სატენად გამოყენებული ალგებრის წიგნის ნაგლეჯები ამოიღეს. სამართალდამცავებმა სიხარულისგან ლამის ცეკვა დაიწყეს, ასე მარტივად რომ ჩაუვარდათ ხელში დამნაშავე, რომელსაც, 24-საათიან რეჟიმში ეძებდნენ, თუმცა დაკითხვისას, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ჯერ იყო და, დაკავებულებმა პირი დააღეს, რა თოფის ტყვია, ნაგანით ვმუშაობთო და მეორეც, როცა დანაშაული მოხდა, ისინი იმ დროს სხვა ქალაქში, გამოსაფხიზლებელში იმყოფებოდნენ ანუ მათ რკინის ალიბი ჰქონდათ. რაც მთავარია, ისინი ვერც დაზარალებულებმა ამოიცნეს. დარჩა ერთადერთი ვარიანტი – დამნაშავე ის მოწმე იყო, რომელიც თავდამსხმელთა დაკავებაში დაეხმარა და რომელსაც ჯიბეში ტყვია ედო. მას სახლში დაადგნენ და გაოცდნენ, როცა დაინახეს, რომ ის აივანზე იდგა, სიგარეტს ეწეოდა და სამართალდამცავთა დანახვაზე, გაქცევაც არ უცდია. მერე თქვა, არ მეგონა, თუ დასაჭერად მოდიოდითო.

რაც შეეხება ალგებრის წიგნს, ის მეზობლის ბავშვს აძლევდა ტყვიის მასრას, „კაფსულს“, დენთს, საფანტს ან ჟაკანს და თითო ტყვიის დამზადებაში, მანეთს უხდიდა, მე დრო არ მაქვსო. ჰოდა, ის მეზობლის ბავშვიც საძულველი ალგებრის წიგნს იყო მიმდგარი და ფურცლებს იქიდან ხევდა, რათა ტყვიის სატენი დაემზადებინა.

„თითქოს ყველაფერი ლოგიკური დასასრულისკენ მიდიოდა, მაგრამ შევცდი. საქმე სასამართლოში იყო წასული და განხილვა უნდა დაწყებულიყო. იმ შესასვლელში, საიდანაც სასამართლოზე მსჯავრდებული შეჰყავთ, ყოფნის უფლება მხოლოდ ადვოკატებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს აქვთ. ჰოდა, ჩემი მეგობარი ადვოკატი, იქ, სწორედ თავისი საბუთით მოხვდა. დაელოდა, სანამ მისი გოგონას მკვლელს ამოიყვანდნენ და როცა გაუსწორდა, ბებუთი ამოიღო და მოუქნია. აუცილებლად მოკლავდა, რომ არა ბადრაგის სიფხიზლე, ხელი ერთ-ერთმა ბადრაგმა აუკრა და პატიმარი სიკვდილისგან იხსნა. დაკავებულს 15 წელი მისცეს, დახვრეტის მუხლი უკვე ამოღებული იყო, ჩემს მეგობარს კი საადვოკატო საქმიანობა სამუდამოდ აუკრძალეს“, – გვითხრა ბატონმა თენგიზმა და ისიც დაყოლა, მე, ალბათ, მოკვლას შევძლებდიო.

# სადედამთილომ შვილის შეყვარებულის მოწამვლა და გაუპატიურება დაგეგმა

## სამედიცინოს 17 წლის გენიოსი სტუდენტი, რომელმაც სიცოცხლე ტრაგიკულად დაამთავრა

ბათო ჯაფარიძე

**სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად გაგვიგია, რომ ვიღაცას სასიკვდილოდ ოჯახის წევრი გაუმეტებია. ერთი შეხედვით, ასეთი რამ წარმოუდგენელი და მიუღებელია, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო დროს, ხშირია ოჯახური კონფლიქტი, რომელიც მკვლელობით სრულდება. ადრე კი ასეთი რამ იშვიათი იყო და თუ ხდებოდა, ლამის მთელი საქართველო იგებდა და განსჯის თემა ხდებოდა, თუ, რა თქმა უნდა, საქმეში მაღალჩინოსანი არ იყო გარეული და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, საქმე არ მიჩუმათდებოდა ხოლმე.**

1991 წელს, ვარკეთილში, ერთ-ერთი მოქალაქე დილით, ადრე აპირებდა სოფელში წასვლას. ამიტომ, გამთენიისას გაემართა ავტოფარეხისკენ, მანქანა რომ გამოეყვანა და წასულიყო, თუმცა სანამ დანიშნულების ადგილამდე მივიდოდა, იქვე, ერთი მიტოვებული ფარეხიდან ხმაური გაიგო, ვიღაც შიგნიდან თითქოს რკინის კარზე ქვას ურტყამდა. მიგდებული ავტოფარეხი მუდმივად ღია იყო, ახლა კი კარს გარედან მავთული ჰქონდა გადაჭერილი. კაცმა მავთული მოხსნა, კარი გამოაღო და საზარელი სურათი გადაეშალა – სისხლში ამოსვრილი გოგონა ნახევრად შიშველი ეგდო და მართალია, ხმას ვერ იღებდა, მაგრამ დახმარებას ხელით ითხოვდა. კაცმა ჯერ სასწრაფოში დარეკა, შემდეგ – მილიციაში და ათ წუთში, ორივე სამსახური ადგილზე იყო. სამედიცინო ინსტიტუტის 19 წლის სტუდენტი გაუპატიურებული იყო და ბასრი საგნით, სახეზე ნაიარევი ეტყობოდა.

„არ იყო ვარკეთილში მომხდარი დანაშაული ჩემი საქმე, მაგრამ რადგანაც გოგონას მამა საკმაოდ გავლენიანი ჩინოვნიკი გახლდათ, საქმე სამინისტროში გამოუშვეს და ჩემამდე მოიტანეს. შოკისგან გოგონა ისე იყო დამფრთხალი, ვერ საუბრობდა, მხოლოდ თავს აქნევდა თანხმობის ან უარყოფის ნიშნად და დაკითხვაზეც ბევრი ვერაფერი თქვა. რამდენიმე დღის წინ, სამედიცინოს შესასვლელთან, ვიღაც ბიჭი გამოელაპარაკა და უთხრა, საღამოს გავისეირნოთო, რაზეც უარი მიიღო, შემდეგ კი ზედ სახლის წინ, გოგონას პირზე ხელი ააფარეს, მანქანაში ჩატენეს, იმ ავტოფარეხში მიიყვანეს და იმ ბიჭთან ერთად, კიდევ ერთმა გააუპატიურა. შემდეგ დანა დაუსვეს და მიატოვეს. სულ ეს იყო, რაც გოგონასგან გავიგე“, – გვიყვება იმ ავბედით წლებში მომხდარ ერთ-ერთ პრეცენდენტულ საქმეს, ბატონი თენგიზი.

გამოძიების სამწუხაროდ, ის ბიჭი სხვამ ვერავინ გაიხსნა. მხოლოდ ის თქვეს, გოგონას შეყვარებული ჰყავდაო და არც მისი დასახელება გასჭირვებიათ, 17 წლის გენიოსი, რომელზეც მთელი ინსტიტუტის პროფესორები გიჟდებოდნენ. 17 წლის ასაკში კი სამედიცინოს სტუდენტი, მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების წყალობით გახდა – სკოლა ვადაზე ადრე დაამთავრა, უნივერსიტეტშიც გამოცდები კი არ ჩააბარა, გაგლიჯა და გაფხრიწა. პროფესორები ცდილობდნენ, ეს წარჩინებული სტუდენტი საკუთარ კათედრაზე „გადაეთრიათ“. ისიც თქვეს, იმ ბიჭს გოგო მამამისის გამო კი არა, ნამდვილი, წრფელი სიყვარულით უყვარს და არც სასიმამროს გავლენები სჭირდება, ისეთი თავი აქვს, საკუთარი მომავლის შექმნა არ გაუჭირდებაო.

რაღა თქმა უნდა, მილიციას ახალგაზრდის მისამართის დადგენა არ გასჭირვებია, თუმცა მასთან ვიზიტი მეორე დღისთვის გადადეს.

„იმ შეყვარებულს სერიოზულ მოწმედ ვერ აღვიქვამდი. რა უნდა ეთქვა 17 წლის ბიჭს, რომელიც არც ფაქტს შეესწრო, არც არაფერი იცოდა და მხოლოდ გოგოზე იყო შეყვარებული? მეორე დღესაც ვერ მივედი მასთან, მესამე დღეს, მისი არსებობა გადამავიწყდა, რადგან მოგეხსენებათ, რა დრო იდგა და ყოველდღიურად ან მკვლელობა მემატებოდა, ან ყაჩაღობა, ან ვინმეს დაუთოვება. ამავდროულად, დაზარალებული გოგოს გამოკითხვა ახლიდან მსურდა, რადგან მაშინ საუბარი არ შეეძლო, თან შოკმა გადაუარა და ვიფიქრე, ეგებ, რამე დეტალი გაიხსენა-მეთქი. მივედი საავადმყოფოში და სამართალდამცავების არმია დამხვდა. თურმე, იმ დღეს, ვიღაც ბიჭს სასწრაფოში დაურეკავს, მოვიწამლეთ, გვიშველეთო. სასწრაფომ სამი საათით დააგვიანა, ადგილზე რომ მივიდა, ოჯახის დიასახლისი უკვე გარდაცვლილი იყო, მისი ორი შვილი კი – უმძიმეს მდგომარეობაში. მაშინ უკვე გაზით მოწამვლა ცნობილი გახლდათ და ეგ ვიფიქრე, მაგრამ ნაცნობმა სამართალდამცავმა ამიხსნა, საკვებით მოიწამლნენო. არ იყო ჩემი საქმე, გოგონასთან შევედი, მაგრამ პალატაში არ დამხვდა. მოვიკითხე და, ახლადმოყვანილ მოწამლულებს გაჰყვა, ერთ-ერთი, მგონი, შეყვარებულიაო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რაღა თქმა უნდა, მოწამვლის საქმემ გამოძიება ზედმეტად დააინტერესა. გაჩნდა ვერსია, რომ ვიღაც ჯერ გოგოს გაუსწორდა, მერე კი – მის შეყვარებულს. სახლში ყველა საკვებზე სინჯი აიღეს, თუმცა გოგოს შეყვარებული აზრზე მოვიდა და წაილუღლუღა, დღეს მეზობელმა კიტრი შემოგვაწოდა, მაგას დედაჩემის ვალი ჰქონდა – 1 000 მანეთი, ალბათ, კიტრით მოგვწამლაო. მეზობლის ვინაობა წუთებში დაადგინეს და ისიც გაიგეს, რომ მცხეთაში პატარა აგარაკი ჰქონდა. სამართალდამცავები იქ გაეშურნენ, ექსპერტები კიტრის ანალიზს შეუდგნენ, თუმცა... აგარაკზე მისულებს ქალი ბოსტანში უგონო მდგომარეობაში დახვდათ – ისიც მოწამვლის ნიშნებით.

„აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა, ქალმა მოწამლული კიტრი მოიტანა და შემდეგ თავადაც მოიწამლა? 1 000 მანეთის გულისთვის, სამი ადამიანი გაიმეტა? საბედნიეროდ, ქალი აზრზე მალე მოვიდა და როცა გაიგო, რაში ვდებით ბრალს, ისევ გაითიშა. ამ დროს ექსპერტებმა დასკვნა დადეს, მოწამლულია ძეხვი – „დოქტორსკიო“. გავიგე, ოჯახი რით მოიწამლა, მაგრამ ამ ქალს იმ ძეხვთან რა შეხება ჰქონდა? საბედნიეროდ, აზრზე ისევ მალე მოიყვანეს და მანაც ლუღლუღით თქვა, რა მოწამვლა, მეზობელთან საუცხოო დამოკიდებულება მქონდა, მე კიტრი მივეცი, იმან ძეხვის ნაჭერი მომიჭრა, სოფელში რომ ჩავედი, წავიხემსე, ბოსტანში გავედი სამუშაოდ, მერე აღარაფერი მახსოვსო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამოძიება ჩიხში შევიდა. მეორე დღეს, მოწამლული შეყვარებულის ძმა ისე გარდაიცვალა, გონზე არ მოსულა. გოგოს დაკითხვამ ახალი არაფერი მისცა და მილიციამ გადაწყვიტა, სხვა გზით წასულიყო. მოწამლულების სახლიდან საოჯახო ალბომი მოიტანეს და გოგონას წინ დაუდეს, დაათვალიერე, ეგებ, ვინმე ისეთი იცნო, ვინც შენზე იძალადაო. პარალელურად, გოგოს სახლიდან მოიტანეს ალბომი და ბიჭს დაუდეს წინ, ვინმე ისეთი ხომ არ არის, ვისთანაც კონფლიქტი შეიძლება გქონდაო. გოგონამ ალბომის თვალიერება დაიწყო და პირველივე სურათზე გონება დაკარგა. სამართალდამცავებმა სურათს დახედეს და ზედ ოთხი ადამიანი იყო გამოსახული – მისი შეყვარებული, ძმა და მშობლები. ბიჭებს მამა ხუთი წლის გარდაცვლილი ჰყავდათ, გამოდის, გოგომ შეყვარებულის ძმა იცნო.

„ბევრს სამართალდამცავი უწყება რიგითი კანტორა ჰგონია. არადა, იქ ხალხი მუშაობს. როგორც კი ძმაზე ავიღეთ ეჭვი, შევისწავლეთ მისი სამეგობრო წრე, გამოვარჩიეთ სამი ისეთი, რომლებთან ერთადაც, მას გოგოს გაუპატიურება შეეძლო და ინფორმატორების მეშვეობით ჩავაწვეთეთ, რომ დღე-დღეზე, მათ აყვანას ვაპირებდით. ორს რეაქცია არ ჰქონდა, მესამემ კი ბარგი შეკრა და სოფლისკენ გაუტია, მაგრამ ვაგზალზე დავაკავეთ. სწორედ მან მოგვცა ჩვენება.

„ჩემმა ძმაკაცმა მითხრა, ძმამ სწავლას მოუკლო, ვიღაც თხა შეუყვარდა და მაგან ძველებურად რომ არ გაქაჩოს, ყველა იმედი და ოცნება აუსრულებელი დამრჩებაო. გოგო მოვიტაცეთ, გავაუპატიურეთ და მერე სახეზე დანა დავუსვით, აქაოდა, გაუპატიურებულს და თან მახინჯს, ცოლად აღარ მოიყვანსო. მე მეტი არაფერი ვიცი, არც – მოწამვლა, არც – სხვა რამ“, – ეს არის დაკავებულის აღიარებითი ჩვენება. შესაბამისად, შეყვარებულის ჯერი დადგა.

„ღამით ბევრი სამუშაო მქონდა, ამიტომ არ მეძინა. დედაჩემის და ჩემი ძმის ჩურჩული გავიგონე. დედაც კი აზრზე იყო, რას აპირებდა ჩემი ძმა. თურმე, მთელი მომავალი ცხოვრება ჩემზე ჰქონიათ აწყობილი და ამ ეტაპზე, ჩემი სიყვარული მათ გეგმებში არანაირად არ შედიოდა. გოგოს გაუპატიურება და დასახიჩრება დედაჩემის იდეა იყო, ძმამ კი შეასრულა. ქიმია საქართველოში, ალბათ, ყველაზე კარგად ვიცი, შხამის მომზადება არ გამჭირვებია და ძეხვში გავურიე. სასიკვდილო დოზა იყო, ამიტომ სადილზე ძეხვს არ მივეკარე და როცა სასწრაფოში დავრეკე, მაშინ მივიღე მცირე დოზა. ექიმებმა დააგვიანეს, საწამლავი მთელ სხეულში გამიჯდა და ვიცი, ვერ გადავრჩები“, – განაცხადა ბიჭმა, რომელიც სავარაუდოდ, უდიდესი ექიმი ან მეცნიერი უნდა გამხდარიყო, მაგრამ საბოლოოდ, ცივსისხლიან მკვლელად იქცა.

მან სასამართლომდე ვერ მიაღწია – აღიარებიდან, სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. საქმის ერთადერთ, ცოცხლად დარჩენილ დამნაშავეს, სასამართლომ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ ის იზოლატორში მკვდარი იპოვეს (ამბობენ, გოგოს მამამ შეუსრულაო). გოგონა კი... პლასტიკური ქირურგიის შემდეგ, სახეზე ძველი იარებიდან არაფერი ეტყობა, გათხოვდა, შვილებიც ჰყავს და დღეს წარმატებული ექიმიცაა.

# თეატრალიზებული სერიული ძარცვის უცნობი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

**დანაშაულის გახსნა ცალკე ხელოვნებაა. თუ მოწოდებით გამომძიებელი არ ხარ და არ გაქვს ინტუიცია, რომელიც მაძებარს სჭირდება, ძალიან ძნელია, ამ სისტემაში დარჩე და ზოგადად, კარგი გამომძიებლის სახელი გქონდეს. საქმის გასაღები, შეიძლება, იმდენად უმნიშვნელო დეტალებში იმალებოდეს, რომ ბევრმა, ალბათ, ყურადღებაც არ მიაქციოს. ჰოდა, კარგი მაძებრის მთავარი ღირსება სწორედ ისაა, რომ ყველა დეტალს ყურადღება მიაქციოს, არაფერი გამორჩეს და საქმე გახსნას.**

## როგორ გაიყვანა მზეზუმზირის გამყიდველმა ქალმა გამოძიება კუზიანი მცხობელის ბანდაზე

1986 წელს, თბილისში, რამდენიმე თავხედური ძარცვა მოხდა. სწორედ რომ ძარცვა და არა – ყაჩაღობა, რადგან მძარცველები ბინის კარზე აკაკუნებდნენ, ეუბნებოდნენ, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურებიდან იყვნენ, კარის გაღების შემდეგ კი, სახლის პატრონს თავში მძიმე საგანს ურტყამდნენ, გონებას აკარგვინებდნენ და ამის შემდეგ, სახლს პირწმინდად ასუფთავებდნენ. არანაირი იარაღი ან სახლის მეპატრონეების დაბმა-დაუთოვება, რასაც ნახულობდნენ, მიჰქონდათ, რასაც ვერ ნახულობდნენ, არც ადარდებდათ. რაც მთავარია, სახლის მეპატრონეები, ყველა შემთხვევის დროს, შინ მარტონი იყვნენ და კარში დატანებულ საჭვრეტელში („გლაზოკში“) კარგად ათვალიერებდნენ მას, ვინც კარის წინ მარტო იდგა, თუმცა ყველა აღიარებდა, რომ კარის გაღების შემდეგ, სანამ თავში მძიმე კეტი მოხვდებოდა, სხვების სილუეტებსაც ხედავდა.

„რა თქმა უნდა, მოწმეები გვყავდა. გარდა იმ ბინების მეპატრონეებისა, რომლებიც გაძარცვეს, იყვნენ სხვებიც, რომლებიც უცხო მამაკაცებს ამჩნევდნენ და ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა – სამნი იყვნენ, ამ სამიდან ერთ-ერთი კი კუზიანი იყო და ჯოხით ძლივს გადაადგილდებოდაო. შესაბამისად, საეჭვოდ არავინ მიიჩნევდა, როგორ შეიძლებოდა, კუზიანს ვინმე გაეძარცვა. სამაგიეროდ, გაძარცვულები ჰყვებოდნენ, რომ კარზე, სწორედ ის კუზიანი აკაკუნებდა. კუზი ისეთი დამახასიათებელი ნიშანია, დამნაშავის პოვნა არ უნდა გაგვძნელებოდა, მაგრამ რას ვიფიქრებიდით, რომ გამოძიება თვეების განმავლობაში გაიწელებოდა და დამნაშავეები პატარა ბავშვებივით დაგვცინებდნენ“, – იხსენებს ერთ-ერთ რეზონანსულ საქმეს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მძარცველები კვირაში ერთხელ მაინც ჩადიოდნენ ახალ დანაშაულს და სამართალდამცავები ვერაფერს ახერხებდნენ. ისინი მთელი თბილისს მოედვნენ, ერთ კვირას თუ დიღომში იყვნენ, მეორე კვირას – გლდანსა და ვარკეთილში მიდიოდნენ, მერე – საბურთალოზე, მერე – „ნახალოვკაში“ და ეს საქმეს უფრო ართულებდა. კონკრეტულ უბანში, მილიცია ვერავის ნახულობდა, მთელი თბილისი კი დიდ ადამიანურ რესურსს მოითხოვდა.

„მძარცველებს, ძირითადად, ფული და ოქრო მიჰქონდათ, რასაც ბაზარზე ვერ ვაკონტროლებდით. ისეთი არავინ გაუქურდავთ, ვისაც ფულის ნომრები ექნებოდა ამოწერილი, ოქრო კი, სავარაუდოდ, „ჯართის“ სახით ბარდებოდა ანუ ამტვრევდნენ და გადამყიდველებთან ისე მიჰქონდათ. საქმე ძალიან ჭკვიან არამზადებთან გვქონდა და რაც მთავარია, დამნაშავეების კარტოთეკაში, სამი კუზიანი ირიცხებოდა. აქედან ორი სასჯელს იხდიდა, ერთი კი ბაზარში იდგა და ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობდა. მას მაინც დავუწყეთ თვალთვალი, მაგრამ როცა ახალი ძარცვა მოხდა, ის ბაზარში იყო, ახალი კუზიანი კი არაერთმა მოწმემ შემთხვევის ადგილზე ნახა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ერთ-ერთი ძარცვის დროს, სახლის მეპატრონემ მოქნეული კეტი აიცილა და კუზიანს ხელში სწვდა. სანამ მას მეგობრები მიეშველებოდნენ, ხელის ერთი მოძრაობით, კუზიანმა მეპატრონის ხელი ყელიდან მოიცილა, შემდეგ კი იმავე ხელით, სამი თითი ჯოხივით გადაუმტვრია. დაზარალებული ვიღაც კი არ იყო, სამბოს ინსტრუქტორი გახლდათ, შესაბამისად, ფიზიკურად საუცხოოდ იყო მომზადებული, მაგრამ მისმა მომზადებამ არ გაჭრა.

„ეს ნამდვილი შოკი იყო. იმ ინსტრუქტორთან ჩვენც დავდიოდით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გვაბურთავებდა და ახლა ეს კაცი ამბობდა, ხელი მარტივად გამაშვებინა და თითების უძლიერესი მოძრაობით, სამი თითი დამიფშვნაო. გამოდიოდა, რომ ის კუზიანი ვიღაც არ იყო. ერთი შეხედვით, ფიზიკური ნაკლის მიუხედავად, საოცარი ძალა ჰქონდა და ეს ძალა სწორედ თითებში იმალებოდა. აღწერით არავინ ამბობდა, რომ დამნაშავე ფიზიკურად დიდი ან დაკუნთული იყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა ძიება სხვა მიმართულებით განაგრძეს. მათ ახლა ის აინტერესებდათ, რომელი პროფესიის ადამიანებს ჰქონდათ ძლიერი თითები. რამდენიმე ვარიანტი განიხილეს – მასაჟისტი, სპორტსმენი, პიანისტი და გობელენის მქსოველიც კი, მაგრამ კუზი არავის ჰქონდა. დანაშაულის ჯაჭვი კი გრძელდებოდა. ფოტორობოტმა გამოძიებას არაფერი მისცა, გარდა იმისა, რომ ისინი მიხვდნენ, კუზიანი გრიმს იყენებდა, რადგან მას ხან ულვაში ჰქონდა, ხან – წვერი, ხან სუფთად გაპარსული იყო, ხან სათვალე ეკეთა და სწორედ ამ გარდასახვამ მიიყვანა გამოძიება დასკვნამდე – შესაძლოა, კუზიც ხელოვნური იყო და საქმე სრულიად ჯანმრთელ ადამიანთან ჰქონდათ. ამ მოსაზრებამ სამართალდამცავები კი აღაფრთოვანა, მაგრამ მალე მიხვდნენ, ეს აღმოჩენა ბევრს ვერაფერს შეცვლიდა – დამნაშავეთა თითქმის ასპროცენტიანი შემადგენლობა, კუზის გარეშე იყო.

მორიგი ძარცვის დროს, თავდამსხმელებს სახლში მოხუცი ქალი დახვდათ. მას კეტი არ ჩაარტყეს, როგორც ჩანს, მსხვერპლს ერიდებოდნენ, უბრალოდ, ხელი კრეს, ოთახში შეაგდეს, გაკოჭეს და პირში ხელთათმანი ჩაუტენეს, აი, ისეთი, რუსები „ვარიშკებს“ რომ ეძახიან, მხოლოდ ცერა თითის ჩასაყოფი რომ აქვს და დანარჩენი მთლიანია. სახლი პირწმინდად გაასუფთავეს, ხელთათმანი კი ექსპერტიზაზე წაიღეს. როგორც ექსპერტებმა თქვეს, ხელთათმანი არ იყო ქარხნული, სახლში ნაქსოვი გახლდათ და ისიც ითქვა, ასეთებს მზესუმზირის გამყიდველი ქალები ჰყიდიან ხოლმე, მანეთი ღირსო.

დედაქალაქის მასშტაბით, ოპერმუშაკებმა მზესუმზირის გამყიდველ ქალებს ჩამოუარეს, ანალოგიურ ხელთათმანს ეძებდნენ და მესამე დღეს, ერთ-ერთ ბებოსთან მიაგნეს. მან არ დამალა, რომ თავად ქსოვდა და ყიდდა, მყიდველი კი ძალიან ბევრი ჰყავდა და კონკრეტულად ის ნაქსოვი, დაახლოებით, ათი ეგზემპლარი ჰქონდა, შემდეგ, ძაფი გაუთავდა და სხვა ფერზე გადავიდა.

„ადილი მისახვედრი იყო – ის, ვინც ხელთათმანი ბინაში დატოვა, მზესუმზირის გამყიდველ ქალთან ახლოს ცხოვრობდა. შემთხვევით ასეთ რამეს ვერ იყიდი, გამოვიდა სახლიდან, დაინახა, იყიდა, მაგრამ ბავშვისთვის და არა – საქმისთვის, უბრალოდ, ჯიბეში ჩარჩა და გამოიყენა. დავიწყეთ ახლო-მახლო კორპუსებში მცხოვრები ადამიანების შესწავლა და ჩვენი ყურადღება, ადრე ქურდობაზე ნასამართლევმა კაცმა მიიპყრო. მას ორი შვილი ჰყავდა, არსად მუშაობდა და რაც მთავარია, ფინანსურად ნამდვილად არ უჭირდა. მეზობლებმა გვითხრეს, განსაკუთრებით ბოლო დროს ამოისუნთქა, არაფერს იკლებსო. მასზე თვალთვალი დავაწესეთ და ორ დღეში, ერთ-ერთ სასადილოში, ორ უცნობ ადამიანთან ერთად დავაფიქსირეთ. თვალთვალი მათზეც დავაწესეთ, ერთი უმუშევარი იყო, მეორე – პურის საცხობში მცხობელად მუშაობდა. კიდევ ორი დღე გავიდა და მეგობრები ისევ შეიკრიბნენ. მიახლოებითაც ვერ წარმოიდგენ, ისე გაგვიხარდა, როცა მცხობელი შეხვედრაზე, ჯოხითა და კუზით მივიდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავები მძარცველებს მორიგი მსხვერპლის ბინამდე მიჰყვნენ, ბინაში შესვლა აცალეს და მაშინ დააკავეს, როცა ნაძარცვი გამოიტანეს. ძლიერი თითების მეპატრონე, სწორედ ის კუზიანი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ცომთან ურთიერთობამ თითები საოცრად გაუმაგრა. გამომძიებლებს დაკითხვაზე ბევრი არ უწვალიათ, ბანდის მეთაური სწორედ ის მცხობელი იყო და კუზიც მან მოიფიქრა, მცდარ კვალზე რომ წასულიყვნენ მაძებრები. სწორედ მან დააყენა პირობა, მითხარით, სად დავუშვი შეცდომა და ყველაფერს ვაღიარებო.

როცა ხელთათმანის ამბავი უთხრეს, ჩაფიქრდა, მერე გაიცინა და თქვა, როცა პირში ჩაუტენა „პადელნიკმა“, მაშინვე მინდოდა გამოღება, სახლში ჭინჭების მეტი რა იყო, მაგრამ ქალი ისე აბრიალებდა თვალებს, ვიფიქრე, აუცილებლად იყვირებს-მეთქი. ბინის ჩხრეკისას მეორე ხელთათმანიც იპოვეს, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა – დაკავებულები ჩვენების მიცემაზე უარს არ ამბობდნენ.

თითოეულს 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

„როცა მცხობელი ციხიდან გამოვიდა, საქართველოში სხვა რეალობა დახვდა. ჩემდა გასაოცრად, მან პურის პატარა საცხობი გააკეთა, ჭირდა მაშინ პური და გვარიანი თანხაც იშოვა. როგორც ჩანს, ამ სფეროს კარგად მოერგო და დღეს თბილისში რამდენიმე საცხობი აქვს. კრიმინალთან შეხება აღარ ჰქონია, მისი ორი პადელნიკიდან კი, როგორც ვიცი, ერთი დღესაც ციხეშია, ხოლო მეორე, გამოსვლიდან მალევე, საქმის გარჩევის დროს მოკლეს“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

## შსს-მ საგარეჯოში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საგარეჯოში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნეს. დაკავებულია 1982 წელს დაბადებული ო.ს., ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ყოფით თემაზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თავის ნაცნობს, 1977 წელს დაბადებულ ზ.ქ.-ს, პისტოლეტიდან გასროლით, სხეულზე ჭრილობა მიაყენა და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი გადაყვანილია კლინიკაში და შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა უტარდება.

პოლიციამ ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან მალევე, საგარეჯოში დააკავა.

სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით, ამოიღეს მაკაროვის სისტემის პისტოლეტი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 120-ე მუხლებით მიმდინარეობს.

## შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუერთდა აქციას – „დედამიწის საათი“

27 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სოლიდარობა გამოუცხადა გლობალურ გარემოსდაცვით აქციას – „დედამიწის საათი“ და ადმინისტრაციულ შენობებზე განათება 20:30 საათიდან 21:30 საათამდე გამორთო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ერთი საათის განმავლობაში, ელექტროენერგიის მოხმარებაზე უარის თქმით შეურთდა ყოველწლიურ კამპანიას, რომელიც მთელ დედამიწას მოიცავს. ეს მსოფლიოში უდიდესი გარემოსდაცვითი აქციაა, რომლის დროსაც, მილიონობით ადამიანი, ერთი საათის განმავლობაში ელექტროენერგიას არ იყენებს და ამით პლანეტის მწვანე და უსაფრთხო მომავლის მხარდაჭერას გამოხატავს.

## განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზაზე ახალი სპორტული დარბაზი გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თბილისის ბაზას ეწვია. ვახტანგ გომელაურმა, მოადგილეებთან – იოსებ ჭელიძესა და გიორგი ბუთხუზთან ერთად, დაათვალიერა ბაზის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა და ახალი სპორტული დარბაზი. შინაგან საქმეთა მინისტრი, ასევე, დეტალურად გაეცნო განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების სამუშაო პირობებს.

ახალი, თანამედროვე სპორტული დარბაზი ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. იგი აღჭურვილია უახლესი სპორტული ინვენტარით, სავარჯიშო ტრენაჟორებითა და საშხაპეებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის კვებითი უზრუნველყოფითაც დაინტერესდა, ბაზაზე მომსახურე თანამშრომლების კვების რაციონს გაეცნო და ყაზარმის სასადილო დაათვალიერა.

ვახტანგ გომელაურმა, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებით, შესაბამისი დავალებები მისცა.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, სატრანსპორტო საშუალების ძველი ნიმუშის სახელმწიფო სანომრე ნიშნების შეცვლის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

გარდა სერვისცენტრებში ვიზიტისა, მსუბუქი ავტომობილის მესაკუთრეებს საშუალება აქვთ, მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციის (SAGENCY) საშუალებით, დისტანციურად მოითხოვონ ძველი ნიმუშის რეგისტრაციის ნომრის შეცვლა ახლით, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილი არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარის ტიპი, ფერი, საწვავის ტიპი, ძრავის ნომერი, ან მოცულობა და ა.შ.) არ არის შეცვლილი.

მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციის (SAGENCY) გადმოწერა ხდება „აიფონით“ სარგებლობის შემთხვევაში – APP Store-დან, ხოლო ანდროიდით სარგებლობისას – PLAY Store-დან. გადმოწერის შემდეგ, დაინტერესებული პირი გაივლის რეგისტრაციას, თუკი მანამდე არ ყოფილა მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე დარეგისტრირებული. დისტანციური მომსახურების მისაღებად, სააგენტოს მობილურ აპლიკაციაში რეგისტრაციის მიზნით, დაინტერესებული პირი უთითებს პერსონალურ მონაცემებს: სახელს, გვარს, პირად ნომერს, მობილური ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს. რეგისტრაციის არსებობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი აპლიკაციაში პირდაპირ ავტორიზაციის გავლის შემდეგ, პირად გვერდზე გადავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, ჯერ კიდევ 2014 წლიდან დაიწყო ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების გაცემა და მაშინვე გამოცხადდა ნომრების შეცვლის ბოლო ვადა, კონკრეტული თარიღი – 2020 წლის სექტემბერი, თუმცა კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებებიდან გამომდინარე, ეს ექვსწლიანი ვადა გახანგრძლივდა და მიმდინარე წლის 31 მარტის ჩათვლით განისაზღვრა.

ვინაიდან, ქვეყნის მასშტაბით, მიმოქცევაში დარჩენილი იყო დიდი რაოდენობით ძველი ნიმუშის სანომრე ნიშანი, მომსახურების სააგენტომ არაერთხელ მოუწოდა შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეებს, დროულად მიემართათ სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისთვის. მომსახურების სააგენტომ, ასევე, არაერთხელ მიაწოდა საზოგადოებას ინფორმაცია, რომ ძველი სარეგისტრაციო ნიშნის მქონე სახელმწიფო ნომრების ახლით შეცვლისას, სავალდებულო აღარ არის სატრანსპორტო საშუალების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მიყვანა და დათვალიერება.

საზოგადოებას კიდევ ერთხელ განვუმარტავთ, რომ ძველ სანომრე ნიშნებს იურიდიული ძალა უწყდებათ 2021 წლის 1 აპრილიდან, თუმცა ნებისმიერ მოქალაქეს აღნიშნული თარიღის შემდეგაც, კვლავ შეუძლია, კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნები შეცვალოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში, სატრანსპორტო საშუალების მიყვანისა და დათვალიერების გარეშე.

აქვე საყურადღებოა, რომ 1 აპრილიდან, ძველი სანომრე ნიშნით ავტომობილის გადაადგილება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება და მფლობელი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდება.

## პოლიციამ კახეთში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გურჯაანის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობისა და სამი პირის დაჭრის ფაქტი გახსნეს. დაკავებულია ორი პირი: 1965 წელს დაბადებული ა.ტ. და 1980 წელს დაბადებული ჯ.ტ. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 25 მარტს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩუმლაყის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1979 წელს დაბადებული მ.ბ.-ს კუთვნილი ავტომობილის მიმართულებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განხორციელდა, რის შედეგადაც ავტომანქანაში მყოფი 1979 წელს დაბადებული ი.ჩ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო 1990 წელს დაბადებულმა მ.მ.-მ, 1972 წელს დაბადებულმა ზ.ბ.-მ და თავად ავტომობილის მფლობელმა მ.ბ.-მ, ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანება მიიღეს. სამივე დაჭრილი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ.

სამართალდამცველებმა, დაკავებული ბრალდებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, კალაშნიკოვის სისტემის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

განზრახ მკვლელობისა და სამი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

# მორაგბეებმა ყველაფერი მოიგეს, მაგრამ რა?!

ბათო ჯაფარიძე

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა თბილისში, რუმინეთი დამაჯერებლად – 28:17 დაამარცხა და, გარდა იმისა, რომ რაგბი-ევროპის გამარჯვებული გახდა, ჩვენსა და რუმინეთს შორის გასათამაშებელი ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასიც თბილისში დატოვა.**

ამ შესარჩევში ჩვენმა გუნდმა ოთხი შეხვედრა გამართა, ოთხივე მოიგო და ყველაფერი ეს უდანაკარგოდ დაასრულა, თუმცა...

სიმართლე გითხრათ, სათვალავი აგვერია, რამდენჯერ გვაქვს მოგებული რაგბი-ევროპა და რამდენჯერ კიდევ – ანთიმოზ ივერიელის თასი.

ყველაფერი ეს ძალიან ჰგავს ერთ წრეზე ტრიალს, რადგან წინ, პრაქტიკულად, ვერ მივდივართ: გავალთ მსოფლიოს ჩემპიონატზე, შეგვხვდება ტოპ-ნაკრები და პატარა ბავშვებივით გვიგებენ.

გამოსავალი ერთია: ექვსი ერის პირველობა, როგორმე, შვიდი ერის უნდა გახდეს, ან ექვს ერში, ბოლოადგილოსანი გავარდეს და მომდევნო წელს, იქ რაგბი-ევროპის გამარჯვებულმა ითამაშოს. ასეთ შემთხვევაში, ექვსი ერიდან, მუდმივად იტალია გავარდება და უდიდესი ალბათობით, მუდმივად ჩვენ ჩავენაცვლებით. სამაგიეროდ, იმ ერთი წლის განმავლობაში, ინგლისს, უელსს, საფრანგეთს, შოტლანდიასა და ირლანდიას შევხვდებით და მერე ჩვენი დონეც აიწევს, მოტივაციაც და ქართველი მორაგბეებიც ბევრად უკეთეს კლუბებში გააგრძელებენ ასპარეზობას.

ჰოდა, სანამ ამ მიმართულებით რამე არ შეიცვლება, უკვე იმდენად მივეჩვიეთ რაგბი-ევროპის მოგებას, რომ ემოციაც ნაკლებად გვაქვს.

მოვიგეთ კიდევ ერთი თასი, რომელიც მანამდეც ბევრჯერ მოგვიგია და არც მომავალში გაგვიჭირდება.

## საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ესპანეთთან დამარცხდა

თბილისის „დინამო არენაზე“, ფიფას 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ტურის მატჩი საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებებს შორის, 1:2 ანუ ჩვენი გუნდის წაგებით დასრულდა.

შეხვედრის პირველი ნახევარი ქართველების უპირატესობით – 1:0 დასრულდა და გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა, თუმცა მეორე ტაიმში, ესპანეთის ნაკრებმა ჩვენს კარში, კიდევ ორი ბურთის გატანა შეძლო.

საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებები აქამდე სამჯერ შეხვდნენ. აქედან ორჯერ ესპანელებმა გაიმარჯვეს, ერთხელ კი, 2016 წელს, – „ჯვაროსნებმა“, – თორნიკე ოქრიაშვილის ერთადერთი გატანილი გოლით.

## „ჩვენ უნდა შევუტიოთ, დაცვაში ყოფნით, გოლს ვერ გავიტანთ!“ – 31 მარტს, საქართველო საბერძნეთში ითამაშებს

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, ვილი სანიოლმა ზუსტად იცოდა, რომ ურთულესი დებიუტი ექნებოდა. ჯერ შვედეთთან გასვლითი შეხვედრა, შემდეგ თბილისში, ესპანეთის მიღება და ბოლოს, საბერძნეთთან სტუმრობა. თან ეს ყველაფერი, ერთი კვირის განმავლობაში. ამის მიუხედავად, ფრანგი სპეციალისტი იმედს არ კარგავდა და მკაფიოდ ამბობდა, ჩვენ უნდა შევუტიოთ, დაცვაში ყოფნით, გოლს ვერ გავიტანთო.

საბერძნეთში ჩვენი გუნდი 31 მარტს ითამაშებს, მანამდე კი იმ ორ შეხვედრაზე ვთქვათ, რომელიც 25 და 28 მარტს გამართა და რეალობას რომ მივყვეთ, ლოგიკურად დამარცხდა. ერთ ან მეორე ნაკრებთან ჩვენს გუნდს ქულა მაინც რომ აეღო, სენსაციად მოინათლებოდა. სენსაცია არ შედგა, მაგრამ...

ჯერ ესპანეთზე ვთქვათ, რადგან ემოციები ჯერ კიდევ ცხელია. ჩვენი ბოლო შეხვედრა 2016 წელს, ამხანაგური მატჩის რანგში შედგა და მაშინ საქართველომ ესპანეთში 1:0 იმარჯვა. რაღა თქმა უნდა, ეს ამბავი ჩვენც გვახსოვდა და პირენეელებსაც. თუმცა, არ იმჩნევდნენ, რომ თუნდაც ქულის დაკარგვის შიში ჰქონდათ. მითუმეტეს იმის ფონზე, რომ პირველ ტურში, საბერძნეთთან შინ 1:1 გააგორეს და გულშემატკივრების გულისწყრომა დაიმსახურეს. მოკლედ, შეხვედრა ესპანელთა უპირატესობით კი დაიწყო, მაგრამ ჩვენები მალე მოვიდნენ აზრზე და გონივრულადაც რამდენჯერმე შეუტიეს. საბოლოო ჯამში, მონდომებამ და ბრძოლამ შედეგი გამოიღო და რაც მთავარია, გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა. კვარას გოლი კი აუცილებელი ორი მიზეზით გახლდათ – ჯერ ერთი, დავწინაურდით და მეორეც, „დინამო არენას“ ტრიბუნაზე, მინიმუმ ხუთი ევროპული გრანდ-კლუბის სკაუტი იჯდა და სწორედ კვარაცხელიას თამაშს აკვირდებოდა. მათ შორის, მილანის „ინტერისა“ და ტურინის „იუვენტუსის“ წარმომადგენლებიც. მოკლედ, კვარაცხელიას, მთლიანობაში, ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია, ესპანელებმა ორი ყვითელი ბარათი სწორედ მასზე აიკიდეს და თუ სკაუტებს მართლა რამე აინტერესებდათ, ბოლომდე დაიკმაყოფილებდნენ.

გოლი პირველი ტაიმის მიწურულს გავიტანეთ და შესაბამისად, შესვენებაზე, ერთბურთიანი უპირატესობით გავედით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სანიოლს, მინიმუმ, 15 წუთი ექნებოდა ბიჭებისთვის ჭკუის დასარიგებლად. ვფიქრობთ, მთავარი შეცდომაც სწორედ ტაიმებს შორის, შესვენებაზე დავუშვით.

მეორე ნახევარში, ჩვენი გუნდი, ლამის მთელი შემადგენლობით უკან ჩადგა და მეტოქის შეცდომას დაელოდა. ესპანეთი კი ის გუნდი არ გახლავთ, ერთ შეხვედრაში რამდენჯერმე შეცდეს. ისინი მიზანმიმართულად, კონკრეტული გეგმითა და მონახაზით გვიტევდნენ. საქართველოს ნაკრები კი არა, მსოფლიოს ნაკრები რომ დაუყენო ესპანეთს და შეუძახო, შემომიტიეო, გოლს აუცილებლად გაიტანს. ჩვენც გაგვიტანეს და... საკუთარ საჯარიმოში უფრო ჩავსხედით, რათა ქულა გადაგვერჩინა. აქაც შევცდით – კარამდე რომ არ მივუშვით, მეტოქემ შორიდან სცადა ბედი და გაუმართლა (ძლიერებს უმართლებთ).

რაც შეეხება შვედეთთან მატჩს, შანსები იქაც გვქონდა, გატანა იქაც შეგვეძლო, მაგრამ არ გაგვიმართლა. სამაგიეროდ, შვედებმა გაგვიტანეს კლასის ხარჯზე, თუმცა ნამატჩევს, გულშემატკივარიც და მედიაც მათ უფრო აკრიტიკებდა, ცუდი ხარისხის ფეხბურთის გამო. წინ კი საბერძნეთთან მატჩია, ნაკრებთან, რომელთან თამაში მუდმივად გვიჭირს და დალხენილი არც 31 მარტის შეხვედრა იქნება. ალბათ, არ არსებობს საქართველოში გულშემატკივარი, რომელიც მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საწყის ორ შეხვედრაში, ქულათა მაქსიმუმს ელოდა. ორი მარცხის მიუხედავად, გაგიკვირდებათ და, ჩვენმა გუნდმა ფეხბურთი ითამაშა.

# სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი

## ზვიად გამსახურდიას წინასწარმეტყველური იგავი

**იყო ერთი კაცი. ამ კაცს თვალებში სასწორი ჰქონდა, რომელსაც შეეძლო მხოლოდ ხმის აწონა. ქვეყანაში, სადაც იგი ცხოვრობდა, მზე არ ამოდიოდა, ყოველივე ყინულით იყო დაფარული, ამიტომ ყინულეთი ერქვა ამ მხარეს. ქვეყანას მართავდა მეფე, რომელიც თავის კარისკაცებად ღებულობდა მხოლოდ ისეთ ხალხს, რომელთაც იცოდნენ თავიანთი ხმის წონა. ხმა კი აიწონებოდა მხოლოდ სასწორთვალას თვალებით. ასე რომ, ამ კაცთან ყოველდღე მოდიოდნენ მნახველნი და სთხოვდნენ, აეწონა მათი ხმა. იმდენად უცნაური იყო ეს ქვეყანა, აუწონლად არავის ესმოდა არც საკუთარი და არც სხვისი ხმა. ასე რომ, ადამიანები ვერას აგებინებდნენ ურთიერთს, სასწორთვალას დაუხმარებლად.**

სასწორთვალა შემოუშვებდა კაცს თავის დარბაზში, რომელსაც ვერცხლის ჭერი ჰქონდა და ოქროს იატაკი. აქ თაროებზე სასწორთვალას ხელ-ფეხი, გული და შიგნეული ელაგა, ყველგან თითო ნაწილი იდო მისი, ხოლო თავი არსად ჩანდა.

შემდეგ იგი დააკვირდებოდა მნახველს და ეტყოდა: „მომიყევი შენი სიზმარი“ და რა მოუთხრობდა მნახველი სიზმარს, სასწორთვალა აიღებდა საკუთარ ენას, დაანთებდა ჩირაღდანივით (ვინაიდან მის სახელმწიფოში, მხოლოდ მან იცოდა, რა იყო ცეცხლი), შემდეგ ჩასდებდა ამ ჩირაღდანს თავისივე მკლავისაგან გაკეთებულ შანდალში, ახლოს მოუხმობდა მნახველს, ყურში ჩასჩურჩულებდა რაღაც საიდუმლოს, ულვაშის თითო ღერს გამოართმევდა და გაისტუმრებდა.

ხელმწიფე აწინაურებდა ამგვარ ხალხს, მამულსაც უბოძებდა, კარზედაც ღებულობდა, მაგრამ დიდხანს როდი გრძელდებოდა მათი ბედნიერება.

ქალაქის განაპირას იყო ბეწვის ხიდი, რომელსაც სიცილის ხიდი ერქვა. ამ სახელმწიფოში წესად ჰქონდათ: როდესაც ვინმე მოათავებდა ხელმწიფის სამსახურს და მოისურვებდა მის დიდებულად გახდომას, უნდა გასულიყო ქალაქიდან, გაევლო სიცილის ბეწვის ხიდი, გადაეარა ცოფიანი კატების მინდორი, რომელიც მის მიღმა მდებარეობდა, აქ თუ ფრთები გამოებმებოდა, გადაეფრინა ცივი თუთიყუშის კლდეზე, თავს მოვლებოდა ათასწლოვან კიპარისს და თუ არ გადაიქცეოდა კიპარისის გირჩად, კვლავ მობრუნებულიყო ქალაქში.

დიდებულობის სურვილი თითქმის ყველას ჰქონდა, ამიტომ მრავალი სცდიდა ბედს, მაგრამ ვინც კი გავიდა ქალაქიდან, ყველას ან სიცილის ბეწვი ჩაუტყდა და ჩავარდა თაღლითი მძივების მდინარეში, ან გაითოშა ცივი თუთიყუშის კლდეზე, ან კიპარისის გირჩად გადაიქცა და გახმა. გირჩებს კი ყოველდღე ჰკორტნიდა მელისყურა არწივი, რომელიც მახლობელი კლდის თხემზე ცხოვრობდა. მხოლოდ სამმა კაცმა მოახერხა უკან დაბრუნება და ესენი აქცია ხელმწიფემ სამ მთავარ დიდებულად.

ერთ დღეს, ამ ქვეყნის მეფესთან მივიდა მისანი და უთხრა:

„დრო მოდის, როდესაც მოვაჭრეებმა ადგილი უნდა დაუთმონ ცეცხლის ხაბაზებს. ამ ხაბაზებს თავის ქალებში ექნებათ თორნე, გულის კვესით შეძლებენ ენაზე ცეცხლის წაკიდებას და ამგვარად გამოაცხობენ თორნეში უკვდავების პურს. ხმა საერთოდ აღარ ექნებათ მათ. მართალია, მათი ცეცხლი უხმოდ იმღერებს, მაგრამ იგი გააუფასურებს შენი კარისკაცების მჭექარე ხმებს. ხმის სახელმწიფოს ცეცხლის სახელმწიფო შესცვლის, ხოლო თავად შენ, სიცილის ხიდზე მოგიწევს გასვლა“.

„ჰო, მაგრამ ვინ განახორციელებს შეუძლებელს?“ – ჰკითხა შეშფოთებულმა ხელმწიფემ მისანს.

„უწონადი ხმის ჭაბუკი“, – მიუგო მისანმა.

„ჰო, მაგრამ ვინ დასძლევს მაგ ჭაბუკს?“ – ჰკითხა ხელმწიფემ.

„ვინც ასწონის მის ხმას“, – უპასუხა მისანმა და გაქრა.

ხელმწიფემ მაშინვე შეჰყარა დარბაზის ერნი და გაანდო ყოველივე, რაც მისანმა ამცნო. წინ წამოდგა სამი დიდებული და სიტყვა ითხოვეს.

პირველმა დიდებულმა თქვა: „მე ვიცი ეგ ჭაბუკი, მზის მიუვალ კოშკში ცხოვრობს. არავის უნახავს, მისი აუწონავი ხმა კი მრავალს სმენია. ჯადოსნურ ჩანგს აჟღერებს. მისი თორმეტსიმოვანი ჩანგი ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ბრინჯაოს, ტყვიის, ვერცხლისწყლისა და რკინის ხმებს აფრქვევს. ეს ლითონები ფრთოსნებად იქცევიან ჭაბუკის სიმღერაზე, ხოლო ფრთოსნები გარს უვლიან კოშკს შვიდფერი ნათებით. კოშკის საძირკველი ვარსკვლავეთშია, ხოლო სახურავი – სულეთში. ჭაბუკის მეგობრები არიან გველი, არწივი და მზისფორეჯოვანი კალმახი“.

მეორე დიდებულმა თქვა: „მზიური რაშით დაქრის იგი ზეცაში, ელვის ლახტი უპყრია ხელთ. შვიდფერი მშვილდით ესვრის ცეცხლოვან ისრებს მიწაზე მიყინულ კიბოებს. თუ კიბო დასჭრა ისარმა, მშვენიერ ლოტოსად გადაიქცევა იგი“.

მესამე დიდებულმა თქვა: „იგი მოგონების მთაზე ზის, აქედან სამას სამოცი წყრთის მანძილზე. არწივი ჰყავს მოშინაურებული, რომელიც მელისყურა არწივს ემტერება. ვისაც ეს არწივი მოიტაცებს, ის გახდება მისი მერიქიფე“.

„თქვენ ვინ გამცნოთ ეს ყოველივე?“ – ჰკითხა ხელმწიფემ.

პირველმა დიდებულმა უთხრა: „გეტყვი ალიონზე“. მეორე დიდებულმა უთხრა: „გეტყვი დილით“. მესამე დიდებულმა კი უთხრა: „გეტყვი შუადღეზე“.

დაღამდა თუ არა, ხელმწიფემ მოიხმო სასწორთვალა. იგი მოვიდა.

„სასწორთვალავ, რა მიხსნის სიცილის ხიდისაგან?“ – ჰკითხა ხელმწიფემ.

„ოხვრა“, – მიუგო სასწორთვალამ.

„რა დაჰბადებს ოხვრას?“, – ჰკითხა ხელმწიფემ.

„მოგონება“.

„რისი მოგონება?“

„სიცილისა“, – იყო პასუხი.

„სასწორთვალავ, რა გვიხსნის ჭაბუკისგან?“

„რომელი ჭაბუკისგან?“

„უწონადი ხმის ჭაბუკისგან“.

სასწორთვალა დადუმდა. ხელმწიფემ კვლავ გაუმეორა კითხვა. „ჩემი აუწონავი არ არსებობს არაფერი ამქვეყნად“, – მიუგო სასწორთვალამ და გაქრა.

ხელმწიფეს იმედი მიეცა და დაიძინა. მეორე დილით, ქალაქს მოადგა ერთი უბრალო მწყემსი ბიჭი, ცალ ხელში კომბალი ეჭირა, მეორეში კი აბგა. ქალაქში შიშიანობა იყო, ამიტომ მეფეს მოჰგვარეს ყმაწვილი.

„ვინ ხარ?“ – ჰკითხა ხელმწიფემ.

„ერთი უბრალო მწყემსი ვარ“, – იყო პასუხი.

„კი, მაგრამ, ცხვარი სადა გყავს?“

„ვისაც კომბალს შევახებ, ყველა ჩემი ცხვარი გახდება“, – უთხრა მწყემსმა.

„ყველა?“ – ჰკითხა ხელმწიფემ.

„ყველა, ოთხი კაცის გარდა, ამ ქალაქში“, – მიუგო მწყემსმა.

„ვინ არიან ეგენი?“

„ვისაც შენ უსმენ, ხელმწიფეო!“

„მაშ, მეც მაგათში ვარ?“

„არა, შენ არ უსმენ შენს თავს, ხელმწიფეო!“

„შენ ვინ გამოგგზავნა?“

„შენ თვითონ, მეფეო!“

„რისთვის?“

„შესარიგებლად“

„ვინ უნდა შეარიგო?“

„შენ უნდა შეგარიგო შენსავ თავთან“.

ხელმწიფემ მოიხმო სამი დიდებული.

„ვინ არის ეს კაცი?“ – ჰკითხა მათ.

„არ ვიცით“, – მიუგეს დიდებულებმა.

„მწყემსია“, – უთხრა ხელმწიფემ.

„დაგიმტკიცოს“, – თქვეს დიდებულებმა.

ჭაბუკი მწყემსი გამოვიდა მოედანზე და ხალხში გაერია. შემდეგ დაუწყო ხალხს საუბარი, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას, ვინაიდან მისი ხმა ჯერ არ აეწონა სასწორთვალას. ამიტომ არავის ესმოდა ჭაბუკისა; მაგრამ მალე დაიწყეს ჯგუფ-ჯგუფად შეგროვება მის გარშემო, ვინაიდან, სადაც იგი დგებოდა, ყინული იწყებდა დნობას და არნახული, ცხოველმყოფელი სითბო ეფინებოდა გარემოს, თუმც მზე არ ანათებდა იმ ქვეყანაში არასდროს.

ხელმწიფე შეშფოთდა, რადგან იცოდა, რომ ყინულის დადნობა მისი მეფობის დასასრულს მოასწავებდა. შეჰყარა კარისკაცები და უთხრა: „ჩქარა ავლაგმოთ ეს თავხედი, თორემ ხალხს თავგზას აუბნევს, ამასობაში უწონადი ხმის ჭაბუკიც მოვა და შავი დღე დაგვადგება“.

კარისკაცები შეცვივდნენ სასახლეში, გამოიტანეს ლითონის საყვირები, მოიშველიეს ჯარი და დასცეს ნაღარა, მაგრამ მწყემსის ხმა უფრო გაძლიერდა და კიდევ უფრო მეტი ხალხი შეგროვდა მის გარშემო. რაღაც კარისკაცებისთვის გაუგებარი სიტყვებით მიმართავდა ხალხს, რაც კარისკაცებს კიდევ უფრო მეტად ახელებ-

და. რა დაინახეს, არაფერი გამოდისო, მოინდომეს ქვით ჩაქოლვა მწყემსისა, მაგრამ დასწვდნენ თუ არა ქვებს, ქვები ვარდებად გადაექცათ ხელში. ამასობაში, მწყემსის ხელში აყვავდა კომბალი, მან დაუარა თავის გარშემო შეყრილ ხალხს და, ვისაც კი მიაკარა კომბალი, ყველა ოქროსმატყლიან ვერძად აქცია. ამის დანახვამ მთლად გაახელა ხელმწიფე და კარისკაცები და ახლა დიდი თოკი გამოიტანეს მწყემსის შესაკრავად, მაგრამ დახე საოცრებას: თოკი ხელიდან გაუსხლტათ, მწყემსს შემოერტყა გარს და უზარმაზარ გველად გადაიქცა, რომელმაც კუდი პირში დაიჭირა და ზღუდედ შემოევლო მწყემსს და მთელ ფარას.

„მწყემსია, მწყემსი“, – ამბობდა შეშფოთებული ხელმწიფე.

„არა, – მიუგეს კარისკაცებმა, – ჯადოქარია და თავგზას გვიბნევს“.

ამასობაში, ვერძებს რქებს შორის ანთებული კელაპტრები ამოუვიდათ, ციდან შვიდფერად აელვარებულ კამარად წამოვიდნენ ფრთოსნები და დაასხდნენ ანთებულ კელაპტრებს, მაგრამ ფრთოსნები არ დასწვა ცეცხლმა, არამედ უფრო ააელვარა, ისე გაბრწყინდა იქაურობა. ხალხი ვერ სცნობდა ურთიერთს, იმდენად გამშვენიერდა ყველა. მხოლოდ ხელმწიფის კარისკაცები გაშავდნენ და მაჯლაჯუნებს დაემსგავსნენ. ამასობაში, მწყემსის უბრალო ტანისამოსი ელვისაგან დაწნულს დაემსგავსა, სახე მზესავით გაუბრწყინდა, თვალები ვარსკვლავთა უელვარესი გაუხდა, შემდეგ მოიმარჯვა შვიდფერი მშვილდი და დაუშინა ცეცხლის ისრები ირგვლივ შემოჯარულ გათოშილ კიბოებს, რომელთაც გაეგოთ მისი მოსვლა და ჯგუფ-ჯგუფად მოიწევდნენ მოედნისაკენ. ქვით მოპირკეთებული მოედანი ხასხასა, მწვანე ბალახმა დაჰფარა, ლივლივა თეთრი ლოტოსებით დამშვენდა მინდორი; ბალახს ალი ედებოდა აქა-იქ, დაწვით კი არავის წვავდა. მაშინ კი მიხვდა ხელმწიფე, რომ მის სამეფოს უწონადი ხმის ჭაბუკი ესტუმრა. აფრინა კაცი სასწორთვალასთან. იგიც დაიძრა თვალების რაჩხუნით, მაგრამ რა მიუახლოვდა მოედანს, დაბრმავდა, დაეცა მიწაზე და გადმოაგდო შავი ენა, რომელიც სრულიად დანახშირებულიყო წარმავალი, უმადლო ცეცხლისაგან.

ახლა სამი დიდებული მოიხმო ხელმწიფემ. მათ დანახვაზე, უწონადი ხმის ჭაბუკი შეიცვალა. იგი ისეთივე უბრალო მწყემსად გადაიქცა, როგორიც იყო მოსვლის ჟამს. დიდებულების დანახვაზე, გველმაც გახსნა წრე და მიუშვა ისინი მწყემსთან. ფრთოსნებმაც დასტოვეს ოქროსმატყლიანი ვერძები, კელაპტრებიც ჩაქრნენ. დიდებულებმა გამოსტაცეს ჭაბუკს აყვავებული კომბალი, რომელიც მაშინვე გახმა, ბორკილი დაადეს ქედზე, წაიყვანეს და უზარმაზარ ხაროში ჩააგდეს, შემდეგ მიწით ამოავსეს ხარო. მერმე წავიდნენ, მორეკეს ხიდის გამოღმიდან ცოფიანი კატები, შეუსიეს ცხვრებს და მუსრი გაავლეს. სისხლის ტბა დადგა მოედანზე. გველიც ნაკუწ-ნაკუწად აქციეს კატებმა, დიდებულები სახეგაბადრულნი დაბრუნდნენ ხელმწიფესთან.

„მოვიშორეთ თვითმარქვია, – უთხრეს მათ მეფეს, – ახლა კი მხსნელად მოევლინება შენს სამეფოს უწონადი ხმის ჭაბუკი“.

„მაშ, ეს არ იყო ის ჭაბუკი?“ – ჰკითხა ხელმწიფემ.



„არა“, – მიუგეს დიდებულებმა.

„მითხარით, ვინ გითხრათ, რომ ეგ არ არის უწონადი ხმის ჭაბუკი?!“

როდესაც შესაღამოვდა, პირველმა დიდებულმა უთხრა ხელმწიფეს: „მე ეს მითხრა სასწორთვალამ“. როდესაც შეღამდა, მეორე დიდებულმა უთხრა ხელმწიფეს: „მე ეს მამცნო ცივი კლდის თუთიყუშმა“. ხოლო შუაღამისას, მესამე დიდებულმა გაანდო ხელმწიფეს: „მე კი ეს მამცნო მელისყურა არწივმა“.

მეორე დილით, არნახული მუსიკის ჰანგებმა გამოაღვიძეს ხელმწიფე და დიდებულები. რა გამოვიდნენ, საოცრად შეცვლილი დახვდათ ქალაქი. სად იყო ყინული და პირქუში ამინდი! სივრცე შვიდფერად გალობდა. თორმეტხმად ასხივებდნენ მიწაზე ჩამოსული გაცოცხლებულ მნათობთა დასები. ვერძების ნასისხლარზე უცნაური გარეგნობის ხალხი ამოსულიყო. თავის ქალები თორნეებად ქცეოდათ, აღარც აბედი სჭირდებოდათ, აღარც კვესი, გულით ინთებდნენ ენებს, ხოლო ენით თავისქალის თორნეებს, საიდანაც ნელსურნელება იფრქვეოდა ენით უთქმელი.

**„უკვდავების სახაბაზო“ – ეწერა ქალაქის გალავანს, ფიქრის ასოებით.**

მეფემ უცნაური სისუსტე იგრძნო. კარისკაცებმა უკან დაიხიეს. უეცრად ცა გაიხსნა და გამოჩნდა ცეცხლის მერანზე ამხედრებული შვიდფერმშვილდოსანი ჭაბუკი.

„დაუბრუნდი შენს თავს, მეფეო“, – დაუძახა მან მეფეს, ხოლო დიდებულებს მიმართა: „გასწით თქვენს ქალაქში“.

მეფე სიცილის ხიდისაკენ გაემართა. ხიდის თავთან მისანი დაუხვდა, რომელმაც უწინასწარმეტყველა ჭაბუკის გამოჩენა. მეფე დააკვირდა მისანს და სასწორთვალა შეიცნო. მას აღარ ჰქონდა თვალებში სასწორი, სასწორი ახლა ხელთ ეპყრა მას, ხოლო მეორე ხელში ახალი, ჯერაც აუნთებელი ჩირაღდანი ეკავა.

„ვერავინ ასწონის მის ხმას, – უთხრა მან მეფეს, – არც ამათი გამომცხვარი პური აიწონება, ხოლო მათი ცხოველმყოფელი ცეცხლი იმედისმომცემია“.

მეფემ ხიდზე შედგა ფეხი. დიდებულებსაც სურდათ მიჰყოლოდნენ, მაგრამ სასწორთვალამ შეაჩერა ისინი.

„თქვენთვის ეს ხიდიც დაკეტილია. თქვენი გზა სხვა მიმართულებით მიდის“ და უჩვენა მათ დავიწყების მდინარე.

ხელმწიფემ გაიარა ცოფიანი კატების მინდორი, მათ ნაცვლად, გრანიტის ლომები დაუხვდა, შემდეგ ცივი თუთიყუშის კლდე, რომელიც თეთრი ფარშავანგის მინდვრად ქცეულიყო და შეეკედლა კიპარისის ჩეროს, რომელსაც ჩამოეხსნა მელისყურა არწივი.

**დიდებულებმა თაღლითი მძივების ქალაქში დაივანეს, რომლის გალავანსაც აწერია: „დავიწყების ქალაქი“. ამ ქალაქის სივრცეა ცოფიანი კატების გადმობრუნებული ტყავი, შუა ქალაქში მოედინება მდინარე, რომელსაც ჰქვია: „გამდნარი ცივი კლდის თუთიყუში“, ხოლო ქალაქის მკვიდრთათვის ყოველდღიურად იდგმება წარმოდგენა: „მელისყურა არწივი – ოცნება“.**

**ამბობენ, სასწორთვალას თავი და გული დავიწყების ქალაქშია, ხელ-ფეხი და შიგნეული – უკვდავების სახაბაზოში, ხოლო თავად სასწორთვალა არსად არ არის, არც იქ არის და არც აქ.**

## ისლამის კრიტიკისთვის სამაგალითოდ სჯიან

საუდის არაბეთის სასამართლომ, 28 წლის მამაკაცს ათწლიანი პატიმრობა და 2 ათასი როზგი მიუსაჯა იმის გამო, რომ მან „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე, ათეისტური შეხედულებები გამოაქვეყნა. რელიგიურმა პოლიციამ, რომელიც სოციალური ქსელების მონიტორინგსაც ატარებს, მამაკაცის გვერდზე, ღმერთის არსებობის უარყოფის, ყურანის ციტატების დაცინვისა და მოციქულების მატყუარებად მოხსენიების 600-ზე მეტი „ტვიტი“ აღმოაჩინა. სასამართლოზე ახალგაზრდამ უარი თქვა მონანიებაზე და განაცხადა, რომ ის საკუთარ თვალსაზრისს გამოხატავს, რადგან ამის უფლება აქვს. გარდა სასჯელისა, არაბულმა თემიდამ მას 20 ათასი რიალის (დაახლოებით, 5 300 დოლარი) ჯარიმის გადახდაც დააკისრა.

## ვაშლი კბილების მტერია?

ლონდონის სტომატოლოგიის კოლეჯის სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზიანის მიყენების მხრივ, ვაშლი 4-ჯერ (!) აღემატება გაზიან ტკბილ სასმელებს. ინგლისელი დანტისტები შეეცადნენ, დაედგინათ კავშირი დიეტასა და კბილების მდგომარეობას შორის. მათ ექსპერიმენტში 18-დან 30-წლამდე ასაკის, 1 000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც ვაშლს მიირთმევდნენ, ემალის დაზიანების ალბათობა 3.7-ჯერ უფრო მაღალი ჰქონდათ. კბილებზე მავნე ზემოქმედებით, ვაშლი ლუდზეც კი უარესი ყოფილა – ქარვისფერი სითხე კბილების დაზიანების რისკს „მხოლოდ“ 3-ჯერ ზრდის.

მეცნიერთა მოსაზრებით, ადამიანის საერთო ჯანმრთელობისთვის, ვაშლი მართლაც სასარგებლოა, მაგრამ კბილებს აზიანებს. როგორც მკვლევარები აცხადებენ, თუ ვაშლს რეგულარულად და ნელ-ნელა მიირთმევთ, მაღალი მჟავიანობა აუცილებლად აისახება კბილების მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, ხილის ზოგიერთი ჯიში, 4 ჩაის კოვზ შაქარს შეიცავს, რაც პირის ღრუში, მჟავიანობის დონეს მკვეთრად ზრდის. მის დასაწევად, ერთი ჭიქა წყალი გამოგადგებათ, თუკი ვაშლის მირთმევისთანავე დალევთ.

## ხანმოკლე ძილი უძილობაზე უარესია

მედიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ექვსაათიანი ძილი ადამიანის ორგანიზმისთვის ისეთივე საზიანოა, როგორც უძილობა. პენსილვანიის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ ადამიანის ტვინზე ხანმოკლე ძილი, უძილობის მსგავსად მოქმედებს. ორკვირიან ექსპერიმენტში, 21-დან 48 წლამდე ასაკის მოხალისეები მონაწილეობდნენ. ისინი ოთხ ჯგუფად დაყვეს: პირველის წევრებს დღე-ღამეში, მხოლოდ ოთხი საათი ეძინათ, მეორეს – ექვსი, მესამეს – რვა საათი, ხოლო მეოთხე ჯგუფის წევრები, ორ-ორი დღით უარს ამბობდნენ დასვენებაზე. ძილის შემდეგ მოხალისეები ტესტებს აბარებდნენ კოგნიტიურ უნარებზე. განსხვავება 10 დღის შემდეგ უკვე აშკარა გახდა. ყველაზე უკეთ ტესტებს ისინი აბარებდნენ, რომლებსაც რვა საათი ეძინათ, საშუალო დონე აჩვენეს მათ, ვინც ოთხი საათით ისვენებდნენ. უარესი შედეგი კი მათ აღმოაჩნდათ, რომლებსაც დღე-ღამეში, მხოლოდ ექვსი საათი ეძინა – მათი შედეგები იმათსას გაუტოლდა, რომლებსაც გადაბმულად, ორი დღე არ აძინებდნენ.

## ომის ვეტერანმა სკოლის დიპლომი აიღო

96 წლის ამერიკელმა, რაიმონდ შეფერმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია, საშუალო სკოლის ატესტატი, ვისკონსინში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე აიღო. ხანდაზმულ მამაკაცს დიპლომი 77 წლის შემდეგ გადაეცა, რადგან ის იძულებული იყო, სწავლა მიეტოვებინა და ოჯახის შენახვაზე ეზრუნა. 1940 წელს, შეფერი არმიაში ჩაეწერა და ფრონტზე წავიდა. ომის დამთავრებისთანავე, მშობლიურ შტატში დაბრუნდა და ათწლეულები გაატარა ერთ-ერთ საწარმოში, მაგრამ ნანობდა, რომ სწავლა მიატოვა და ისევ დიპლომის აღებაზე ოცნებობდა.

ახლობლებმა რაიმონდის ოცნების ასრულება გადაწყვიტეს. მათ დახმარებისთვის მიმართეს სკოლას, სადაც შეფერი სწავლობდა და მხარდაჭერა სთხოვეს. სკოლის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მოხუცისთვის სიურპრიზი გაეკეთებინა და საზეიმო ცერემონია მოაწყო, რომელზეც 96 წლის შეფერს, კურსდამთავრებულის მანტია და ქუდი, ატესტატი და სამახსოვრო მედალიონიც გადასცა. „ეს მეტად ამაღელვებელი და მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩემთვის“, – განაცხადა ბედნიერმა ვეტერანმა.

# მთაში გემებისთვის გვირაბს გაჭრიან



ნორვეგიაში მოიწონეს ამბიციური პროექტი, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოში პირველად, მთაში, გემებისთვის გვირაბს გაიყვანენ. ის ნახევარკუნძულ სტადის მეტად ვერაგი აკვატორიის გავლისთვის გაკეთდება. ეს რაიონი, სადაც ნორვეგიისა და ჩრდილოეთის ზღვები ხვდებიან ერთმანეთს, თითქმის მუდმივად შტორმიანია. ამის გამო, ქვეყნის მთავრობამ გადაწყვიტა, მთიან ნახევარკუნძულზე, ლაინერებისთვის გვირაბი გაიყვანოს.

ამ საინჟინრო სასწაულის მშენებლობა, დაახლოებით, 330 მილიონი დოლარი დაჯდება და სამი-ოთხი წელი გაგრძელდება. ვარაუდობენ, რომ სამუშაოები უკვე 2022 წლიდან დაიწყება. გემების გვირაბი ნახევარკუნძულს, მის ყველაზე ვიწრო ნაწილში, 1.7 კილომეტრზე „გაჭრის“. გვირაბის სიგანე 27 მეტრი, სიმაღლე კი 37 მეტრი იქნება.

# საქორწინო ვალდებულებების დარღვევაში დაადანაშაულეს

საფრანგეთის მოქალაქე ქალბატონმა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მას შემდეგ იჩივლა, რაც ადგილობრივმა სასამართლოებმა, განქორწინებაში დამნაშავედ მიიჩნიეს, რადგან ქმართან სექსზე უარს აცხადებდა. ფრანგი ქალის საქმეზე, სასამართლომ პირველი გადაწყვეტილება 2019 წელს მიიღო. ვერსალის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 66 წლის მადამმა, „სერიოზულად და არაერთხელ დაარღვია საქორწინო ვალდებულებები“. ამის გამო ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა და შემდგომში, ეს გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლომაც გაიზიარა. ქალის დასაცავად ფრანგული ფემინისტური ორგანიზაციები გამოვიდნენ. მათ სასამართლოს გადაწყვეტილებებს „არქაული“ უწოდეს და აღნიშნეს, რომ ის მათი დაცვის ქვეშ მყოფს თანხმობის უფლებას ართმევს.

# რძე კიბოს პროვოცირებას იწვევს?

რძე ძალიან საშიში პროდუქტი აღმოჩნდა, – აცხადებენ შვედი მეცნიერები, რომელთაც მასშტაბური კვლევები ჩაატარეს. ექსპერიმენტში რამდენიმე ასეული ქალი მიიწვიეს. კვლევების შედეგად გაირკვა, რომ სიკვდილიანობა ზუსტად სამჯერ იზრდება მათ შორის, რომლებიც ყოველდღიურად, ნახევარ ლიტრზე მეტ რძეს მიირთმევენ. სუსტი სქესის წარმომადგენლებში რძე საკვერცხეების კიბოს, ხოლო მამაკაცებში – პროსტატის კიბოს განვითარების რისკს ზრდის, ასევე, იწვევს პირველი ტიპის დიაბეტის წარმოშობას, გაფანტულ სკლეროზს, ზრდის ქოლესტერინის დონეს. გარდა ამისა, როგორც შვედი სწავლულები ამტკიცებენ, რძე არანაირად არ უწყობს ხელს ძვლების გამაგრებას, როგორც ადრე მიიჩნევდნენ. მკვლევართა თქმით, უმჯობესია, ამ მიზნით, ადამიანმა ყველი ან იოგურტი მიირთვას.

# კიბორჩხალას ავტომატებში იყიდით



ჩინელებმა კიდევ ერთი უცნაურობა მოიფიქრეს – ავტომატის საშუალებით, ცოცხალ კიბორჩხალებს ისე ყიდიან, როგორც „კოკა-კოლას“ ბოთლებს. პირველი ასეთი „კიბომატები“ ქალაქ ხანჩჟოუში გაჩნდა. კიბორჩხალებს ავტომატში ყოველდღე აახლებენ და თითოეულს 20 იუანად (სამ დოლარზე მეტი) ყიდიან. სურვილის მიხედვით, მყიდველს შეუძლია, მდედრი ან მამრი კიბო აირჩიოს. შენაძენს მოჰყვება ძმარი და ორი პაკეტი კოჭას ჩაი. ასეთ აპარატებში, ტემპერატურა 5-10 გრადუსის ფარგლებშია. კიბორჩხალებს ძილის მდგომარეობაში ინახავენ, თუმცა ზოგჯერ, ისინი იღვიძებენ და კლიენტს ფეხების მოძრაობით აფრთხობენ.

# „ტვიტერის“ პირველი პოსტი გაიყიდა

სოციალური ქსელის – „ტვიტერის“ დამაარსებელმა და გენერალურმა დირექტორმა, ჯეკ დორსიმ, აუქციონზე გაყიდა ამ პლატფორმაზე განთავსებული პირველი პოსტი, რომელიც 2006 წლის 21 მარტს დაწერა. მასში დორსი ქსელის ამოქმედებაზე წერს. „ტვიტი“ უცნობმა მამაკაცმა, სინა ესტავიმ კრიპტოვალუტაზე იყიდა, რაც დაახლოებით, 2 915 835 დოლარი დაუჯდა. დორსიმ პირველი პოსტი გასაყიდად თვის დასაწყისში გაიტანა და პლატფორმის დაარსების 15 წელი ამგვარად აღნიშნა. პოსტის გაყიდვით მიღებულ თანხას, საქველმოქმედო ორგანიზაცია GiveDirectly-ს გადასცემს, რომელიც გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარება.

# არაყი – მარიხუანით

კალიფორნიულმა კომპანიამ Humboldt Distillery, არაყი კანაფის არომატით გამოუშვა. ალკოჰოლური სასმელის ახალი სახეობა ნარკოტიკულ ნივთიერებას ძალიან მცირე რაოდენობით შეიცავს, რადგან მწარმოებლებს, შტატის კანონების დარღვევა არ სურდათ. ამის მიუხედავად, კომპანიის წარმომადგენლების თქმით, არაყს მარიხუანას არომატი მშვენივრად ეტყობა.

„ბოლო დროს, არაყი ძალიან პოპულარული გახდა. გვთხოვდნენ, რომ ის „განსაკუთრებული“ გემოთი გამოგვეშვა. ჩვენ მომხმარებლის სურვილი შევასრულეთ ისე, რომ კანონი არ დაგვირღვევია“, – აცხადებს ფირმის მფლობელი.

# მოზარდი კოსმოსის ათვისებაზე ოცნებობს

12 წლის გოგონამ, აშშ-ს არიზონას შტატიდან, ვადაზე ადრე დაასრულა სკოლა, უნივერსიტეტში ჩააბარა და განზრახული აქვს, მომავალში ნასა-ში იმუშაოს. მას სურს, რომ კოსმოსის ათვისებით დაკავდეს. ალინა უიკერს, ბავშვობიდან ძალიან უყვარს Lego-ს კონსტრუქტორების აწყობა. 12 წლისამ, უკვე გაიარა საშუალო სკოლის მთლიანი პროგრამა, შინ მიღებული განათლების წყალობით. წელს ის არიზონას უნივერსიტეტის სტუდენტი გახდება. ალინა უმაღლესი განათლების მიღებას ასტრონომიის, პლანეტარული მეცნიერებისა და ქიმიის სფეროში გეგმავს. 16 წლის რომ გახდება, სურს, ნასა-ს თანამშრომელი გახდეს, კოსმოსური კვლევებისთვის შექმნას მოწყობილობები, კერძოდ, კი მარსმავალები.

# პენსიონერებს ნაგვის ურნებით დააკვირდებიან

დიდ ბრიტანეთში, ცოტა ხანში, ახალი ნაგვის ურნები გამოჩნდება, რომლებითაც დააკვირდებიან, რომ ასაკოვანმა მოსახლეობამ, ნაგავი რეგულარულად გადაყაროს. იმ შემთხვევაში, თუ ორი კვირის მანძილზე, პენსიონერი კონტეინერს არ გაავსებს, ურნაში ჩამონტაჟებული მოწყობილობა ამის თაობაზე მედიცინის მუშაკებს აცნობებს. სენსორებიან კონტეინერებს უკვე იყენებენ ქალაქ ბათში და ჩრდილო-აღმოსავლეთ სომერსეტში. ის საშუალებას აძლევს ნარჩენებისა და უტილიზაციის სამსახურებს, გაიგონ, სავსეა თუ არა ურნები. ხელისუფლებაში ვარაუდობენ, რომ მომდევნო ათი წლის განმავლობაში, ქვეყანაში ყველა ნაგვის კონტეინერი ასეთი მოწყობილობით იქნება აღჭურვილი, რაც მუნიციპალიტეტებს დიდ თანხას დააზოგვინებს.

# ᲙᲔᲠᲞᲗᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ

ტოკიოში მდებარე სარეკლამო კომპანია Hiroro, საკუთარ თანამშრომლებს ნებას აძლევს, ანაზღაურებადი 10-დღიანი შვებულება აიღონ, თუკი მათი საყვარელი აიდოლი – ცნობილი პოპ-ჯგუფის წევრი სცენას ტოვებს. გარდა ამისა, ამდენივე ხნით შეუძლიათ სამსახურიდან წასვლა ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაშიც – იაპონელი დამსაქმებლები ორივე მოვლენას აფასებენ, როგორც სერიოზულ დანაკარგს. ზოგიერთი ადამიანი ხომ წლობითაა ამა თუ იმ მომღერლის ფანი და მისი ახალი სიმღერებისა და კლიპების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

იაპონური პოპის ინდუსტრია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა და ქვეყნის მცხოვრებლებზე დიდი გავლენა აქვს. ჭეშმარიტი ფავორიტი მხოლოდ ერთი არტისტი შეიძლება იყოს, ხოლო თუ საყვარელი მომღერლების სიაში მეორე და მესამე ადგილზე მყოფი შემსრულებლები ტოვებენ შოუ-ბიზნესს, შვებულება მხოლოდ სამდღიანია. კომპანიის ხელმძღვანელის თქმით, აიდოლის დაკარგვამ, შესაძლოა, იაპონელი იმ დონემდე დაამწუხროს, რომ მას ფსიქოლოგიური დახმარება დასჭირდეს.

# ᲢᲠᲐᲛᲞᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის მრჩეველმა, ჯეისონ მილერმა განაცხადა, რომ ორი-სამი თვის განმავლობაში, დონალდ ტრამპი დაბრუნდება ინტერნეტში, ოღონდ საკუთარი პლატფორმით. მილერი დარწმუნებულია, რომ პოლიტიკოსის პირადი სოციალური ქსელი „მთლიანად შეცვლის თამაშის წესებს“ და უმალვე მოიპოვებს პოპულარობას. ცნობილია, რომ 6 იანვრის ცნობილი მოვლენების შემდეგ, „ტვიტერმა“ სამუდამოდ დაუბლოკა ექს-პრეზიდენტს ექაუნთი, დაბლოკილია ტრამპის გვერდები „ფეისბუქსა“ და „ინსტაგრამზეც“. მართალია, ეს გვერდები 16 იანვარს აღდგა, თუმცა ქვეყნის ყოფილ პირველ პირს, დღემდე არაფერი დაუპოსტავს.

2009 წლიდან, ტრამპი აქტიურად იყენებდა „ტვიტერს“, როგორც ძლიერ პოლიტიკურ ინსტრუმენტს აუდიტორიასთან პირდაპირი ურთიერთობისთვის, მედიის გვერდის ავლით. მის ექაუნთს 88 მილიონი გამომწერი ჰყავდა. ჯერჯერობით, უცნობია, როგორი იქნება პოლიტიკოსის საკუთარი პლატფორმა.

# პირბადეზე უარის თქმის გამო დაითხოვეს

ავსტრიაში, უმაღლესი სასწავლებლიდან სამი პროფესორი მხოლოდ იმის გამო დაითხოვეს, რომ ისინი პირბადეს არ ატარებდნენ. პედაგოგებმა კატეგორიული უარი განაცხადეს კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების დაცვაზე. კიდევ სამ პროფესორს შეუნარჩუნეს სამსახური, რადგან მათ თანხმობა განაცხადეს დამცავი ნიღბების ტარებაზე.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიაში, სანიტარული წესები იანვრის ბოლოდან გამკაცრდა – მოქალაქეები ვალდებულები არიან, მაღალი დონის დამცავი ნიღბები ატარონ. მეზობელ შვეიცარიაში კი, სადაც პირბადის ტარება დახურულ სივრცეებშიც სავალდებულოა, პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელმაც „ლუცერნის“ სუპერმარკეტში შესვლისას, უარი თქვა პირბადეზე. სასჯელის სახით, მას ამ ქსელის მაღაზიებში შესვლა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში აუკრძალეს.

# ძაღლმა მანქანა „გაიტაცა“

აშშ-ს ქალაქ სტერჯ-ბეიში, ძაღლმა პატრონის მანქანა „გაიტაცა“ და სამხატვრო გალერეის კედელს შეასკდა. ინიცდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ოთხფეხა მეგობრის პატრონმა, საკუთარი ავტომობილი პარკინგზე დააყენა და საცხობში შევიდა. იქიდან გამოსულს, მანქანა გზის მოპირდაპირე მხარეს დახვდა. მძღოლის თქმით, მანქანაში მისი 5 წლის ნაგაზი, „კელი“ იმყოფებოდა და სავარაუდოდ, მან გადასწია გადამცემთა კოლოფის ღერძი. ავტომობილი ადგილიდან დაიძრა და მოპირდაპირე მხარეს მდებარე გალერეის შენობას შეეჯახა. ავარიის შედეგად არავინ დაშავებულა. ძაღლის პატრონი ბედნიერია, რომ ინციდენტმა მსხვერპლისა და მასშტაბური ზარალის გარეშე ჩაიარა. ხუმრობით კი განაცხადა, რომ დროებით, მის ნაგაზს მართვის მოწმობა ჩამოერთმევა.

# Facebook-მა დაკარგული ბეჭედი აპოვნინა



აშშ-ს ჯორჯიის შტატში, ახალგაზრდა მამაკაცმა, საცოლისთვის ხელის სათხოვნელად, რომანტიკული ადგილი – პლაჟი შეარჩია. ბრაიან კერსიამ, ოკეანის სანაპიროზე სეირნობისას, რჩეულის წინ დაიჩოქა და ცოლობა სთხოვა. დადებითი პასუხი რომ მიიღო, ბრილიანტისთვლებიანი ნიშნობის ბეჭედი, ქვიშაზე კოლოფიანად დადო და საყვარელ ქალს გადაეხვია. ამ რომანტიკულ ისტორიას კურიოზული გაგრძელება მოჰყვა. ორიოდე წუთში, წყვილმა გააცნობიერა, რომ ბეჭედი კოლოფიანად „აორთქლდა“.

საცოლე თავიდან არც კი იჯერებდა, რომ ბეჭედი მართლა დაიკარგა და ეს ყველაფერი ხუმრობა ეგონა. რამდენიმესათიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, სახლში დაბრუნებულმა წყვილმა ეს ისტორია სოციალურ ქსელში დაწერა. ახალგაზრდები არ ელოდენენ, რომ მათ პოსტს ამდენი გამოხმაურება და ბედნიერი დასასრული ექნებოდა. რამდენიმე საათში, მათ მამაკაცი დაუკავშირდა და ბრაიანს კოლოფში ჩადებული ბეჭდის ფოტო გაუგზავნა. ასე რომ, Facebook-ის საშუალებით, შეყვარებულმა წყვილმა ნიშნობის ძვირფასი ბეჭედის იპოვა.

# ვან გოგის ნახატებით ფსიქიატრიულში იმკურნალა



ჰოლანდიელი იმპრესიონისტის, ვინსენტ ვან გოგის უმცროსმა დამ, ვილემინამ, ცნობილი ძმის 17 ნამუშევარი გაყიდა, რათა ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობის ხარჯები დაეფარა. ამას მოწმობს ვან გოგის ოჯახის მიმოწერა, რომელიც ხელოვნების ისტროიკოსის, ვერლინდენის ახალ წიგნში – „ვან გოგის დები“ გამოქვეყნდა. წიგნი, რომელიც ორიოდე კვირაში გამოვა, გენიალური მხატვრის სამი დის – ვილემინას, ანასა და ელიზაბეტის ცხოვრების ისტორიას აღწერს. წიგნს საფუძვლად დაედო ვან გოგების ასობით პირადი წერილი არქივიდან, რომელიც არასდროს გამოქვეყნებულა. ვილემინას, ისევე, როგორც ვინსენტს, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. 1902 წელს, ის ქალაქ ერმელოს საავადმყოფოში, შიზოფრენიის დიაგნოზით მოათავსეს. ვილემინამ კლინიკაში 40 წელიწადი გაატარა და 1941 წელს გარდაიცვალა.

# სიყვარული გენეტიკურად განსხვავებულებს აკავშირებს

ბრაზილიელმა სწავლულებმა, პარანას უნივერსიტეტიდან, გაარკვიეს, რომ ადამიანები პარტნიორად ირჩევენ მათ, რომელთა გენომის ორგანიზაციაც განსხვავებულია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მეუღლეებს უფრო ხშირად აქვთ გენეტიკური განსხვავება დნმ-ის ნაწილში (რომელიც იმუნურ სისტემას აკონტროლებს), ვიდრე შემთხვევით პარტნიორებს. სპეციალისტებმა 90 ცოლ-ქმრისა და შემთხვევით ამორჩეული 152 საკონტროლო წყვილის გენეტიკური მონაცემები შეადარეს.

გაირკვა, რომ დაქორწინებულ ადამიანებს გენომში (ჰისტოშეთავსების მთავარ კომპლექსში, რომელიც გავლენას ახდენს შთამომავლობის ჯანმრთელობაზე) უფრო მეტი განსხვავება აქვთ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დიდი ალბათობით, ასე ავლენს თავს განსაკუთრებული ევოლუციური სტრატეგია, რომელიც ჯანმრთელი მემკვიდრეების გაჩენის გარანტიას იძლევა. თუმცა მკვლევარები ვერ გარკვეულან, რა სიგნალები იზიდავენ ერთმანეთთან გენეტიკურად განსხვავებულ ადამიანებს. შესაძლოა, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხეულის სუნი და სახის სიმეტრია.

# ყველაზე ბედნიერები ისევ ფინელები არიან

ეს სკანდინავიური ქვეყანა ზედიზედ მეოთხედ დასახელდა ყველაზე ბედნიერ ქვეყნად. შესაბამისი რეიტინგი გაეროს ეგიდით ჩატარებული გამოკითხვების შედგეგად შედგა. გასულ წლებში, კვლევები სხვადასხვა ქვეყნების მცხოვრებთა პირდაპირი გამოკითხვებით ტარდებოდა, თუმცა ამჯერად, კორონა-ვირუსის საყოველთაო გავრცელების გამო, სიის შედგენისას, გამოიყენეს ის პარამეტრები, რაც პანდემიის დროს ადამიანების მდგომარეობაზე მიუთითებდა.

კვლევის ავტორების თქმით, მათ ორმაგი მიზანი ჰქონდათ: გაერკვიათ ვირუსის გავლენა ადამიანის ცხოვრების ხარისხსა და სტრუქტურაზე და მეორე – აღეწერათ და შეეფასებინათ, როგორ უმკლავდებოდნენ მსოფლიოს ქვეყნების მთავრობები პრობლემებს, პანდემიის დროს. ყველაზე ბედნიერების რეიტინგში, მეორე საფეხურზე დანია აღმოჩნდა, მესამეზე – შვეიცარია. ტოპ-ხუთეულში შევიდნენ, ასევე, ისლანდია და ნიდერლანდები. 149 ქვეყნიდან, სულ ბოლოში აღმოჩნდნენ რუანდა, ზიმბაბვე და ავღანეთი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.